პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
29 სექტემბერი
1940 წ.
№ 227 (5928)
ფასი 10 კაპ.

გამოფენაში მონაწილეობისათვის ბრძოლის სათავეში

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგში უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაშლის მიზნით სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს განგრძობილ იქნას სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 1941 წლისათვის. ამ დადგენილების გამოქვეყნებას საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მუშაკნი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ. მძლავრად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მომავალი წლის გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

გამოფენა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა მდიდარი გამოცდილების გაზიარებისა და გავრცელების საუცხოო სკოლაა. იგი, როგორც სარკეში, ასახავს იმ დიად წარმატებებს, რაც ჩვენმა სოფლის მეურნეობამ მოიპოვა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების საფუძველზე. ამავე დროს „ჩვენი გამოფენა არა მარტო აჯამებს გამარჯვებათა შედეგებს, არამედ წარმოადგენს აგრეთვე მძლავრ მოწოდებას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, სოციალიზმის ახალი სახელოვანი გამარჯვებებისაკენ“ (მოლოტოვი).

ეს კარგად ესმით ჩვენს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებს და ამიტომ გულმოდგინედ ემზადებიან მომავალი წლის გამოფენაში მონაწილეობისათვის, თავდადებულად იბრძვიან ამ საპატიო უფლების მოსაპოვებლად.

მომავალი წლის გამოფენაში მონაწილეობისათვის მზადებას სათავეში უნდა ედგნენ საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების პარტიული ორგანიზაციები. პარტორგანიზაციებმა ფართოდ უნდა მოაწყონ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა გამოცდილების პოპულარიზაცია, გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტების ლექციები და საუბრები, უზრუნველჰყონ დადებითი გამოცდილების პრაქტიკულად გამოყენება, უხელმძღვანელონ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის.

იქ, სადაც ამ საქმეს ბოლშევიკურად მოჰკიდა ხელი პარტორგანიზაციამ, სერიოზული მუშაობა გაიშალა. მაგალითად, მომავალი წლის გამოფენისათვის კარგად ემზადება დაბა წნორის სტალინის სახელობის (სიღნაღის რაიონი) კოლმეურნეობა. აქ ივნისში განიხილეს პარტიისა და მთავრობის დადგენილება გამოფენის 1941 წელს განგრძობის შესახებ და დასახეს ღონისძიებანი გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის, გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებს შორის მოსავლის აღების სანიმუშოდ ჩატარებისა და საშემოდგომო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ეს კოლმეურნეობა სოცშეჯიბრებაშია ჩაბმული ტიბაანის „ხირსის გლეხთა შრომის“ კოლმეურნეობასთან.

ასევე წარმატებით ხელმძღვანელობენ გამოფენისათვის მზადებას მამათის ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის (ლანჩხუთის რაიონი), სოფელ ბერბუკის ბერიას სახელობის (გორის რაიონი), სოფელ ხელვაჩაურის „წითელი ოქტომბრის“ (ბათუმის რაიონი) და სხვ. კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციები. მათ მოაწყეს მოწინავე ადამიანთა გამოცდილების გაცნობა, გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანიმუშოდ შესრულებისათვის. მაგრამ ყველგან ასე როდია.

ზოგიერთ კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს მომავალი წლის გამოფენისათვის მზადების საქმეს. მაგალითად, ამ მხრივ სუსტად არის დაყენებული მუშაობა სოფელ ქვემო-სკრის (გორის რაიონი), სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის (სიღნაღის რაიონი) და სხვ. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში. აქ ჯერ არც კი განუხილავთ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება გამოფენის მომავალი წლისათვის განგრძობის შესახებ, არ ტარდება სამზადისი მუშაობა, ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაშლილი არ არის სოცშეჯიბრება, არ ეწყობა გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა მოხსენებები გამოცდილების გაზიარების მიზნით. საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პარტორგანიზაციის მდივანმა თვითონაც არ იცოდა, რომ მომავალ წელს გამოფენა გაგრძელდება.

პარტია თვითეული თავისი წევრისაგან მოითხოვს იყოს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვის ნიმუში, იჩენდეს თაოსნობას ყოველგვარ საქმიანობაში და პირადი მაგალითის ჩვენებით დარაზმოს მასები პარტიის დირექტივების განუხრელად განხორციელებისათვის. კოლმეურნე კომუნისტები საკოლმეურნეო შრომის ნიმუშებს უნდა უჩვენებდნენ, თავდადებით უნდა იბრძოდნენ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სათავეში უნდა ედგნენ გამოფენისათვის მზადების საქმეს. მაგრამ ზოგჯერ ეს ასე არაა. მაგალითად, „კომუნის სხივის“ (ლანჩხუთის რაიონი) საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის წევრს კომუნისტს ა. ფირცხალაიშვილს წელს გამომუშავებული აქვს მხოლოდ 69 შრომადღე, ს. ხელაძეს (პარტორგანიზაციის მდივანი) კი — 93 შრომადღე მაშინ, როცა უპარტიო კოლმეურნეებს გამომუშავებული აქვთ 200-250 შრომადღე თითოს. ლანჩხუთის კოლმეურნეობიდან კომუნისტები დ. სარჯველაძე და ჭ. ქურიძე გვერდს უვლიან კოლმეურნეობაში მუშაობას. გასაკვირი არაა, რომ მომავალი წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადება ამ კოლმეურნეობებში ჩამორჩენილია.

პარტიის სასოფლო რაიონული კომიტეტები მოწოდებული არიან სისტემატური კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ სოფლის პარტორგანიზაციებს გამოფენის გამოცდილების დანერგვისათვის, მომავალი წლის გამოფენაში მონაწილეობისათვის ბრძოლაში. მაგრამ ზოგიერთი პარტრაიკომი ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

ჩვენი სასოფლო პარტიული ორგანიზაციების საპატიო ამოცანაა— სათავეში ჩაუდგნენ 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა მიერ მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას, წარმართონ იგი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისაკენ, რათა ამით ხელი შეუწყონ გამოფენის მონაწილეთა რიცხვის ზრდას, უზრუნველჰყონ მომავალ წელს მაღალი მოსავლის მიღება.

თვითეულმა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ, თვითეულმა კომუნისტმა თავდადებით უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ კოლმეურნეობებში განვითარდეს მრავალდარგოვანი მეურნეობა, მარცვლეულ, სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურებთან ერთად დაინერგოს მებაღეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა. კომუნისტებმა თაოსნობა უნდა გაუწიონ ყოველგვარ სასარგებლო წამოწყებას და იბრძოლონ მისი ბოლომდი მიყვანისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეობებში, როგორც ამას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება. კოლმეურნეობებს უნდა მოვაშოროთ მცონარები, ცუღლუტები და წამგლეჯები.

მომავალი წლის გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოპოვებული უნდა იქნას ენერგიული, ნაყოფიერი მუშაობით, მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანიმუშოდ შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის. მაღალი მოსავლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდი რაოდენობით მიღებისათვის თავდადებული ბრძოლით.

საქართველომ შეასრულა მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა

25 სექტემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა 105,3 პროცენტით შეასრულეს.

დავალება მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების მხრივ დიდი გადამეტებით შეასრულეს ადიგენის, თელავის, თბილისის, მცხეთის, საგარეჯოს და საქართველოს სხვა რაიონებმა.

გასული წლის ამავე ვადისათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა შესრულებული იყო 71,3 პროცენტით. (საქდესი).

პროფესორ ი. თიკანაძის წერილი

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1940 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს ივანე ელიზბარის-ძე თიკანაძეს, ინსტიტუტის სხვა პროფესორებთან ერთად, მიანიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება.

ქვემოთ ქვეყნდება პროფ. ი. თიკანაძის წერილი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ულრმეს მადლობას ვუძღვნი პარტიასა და ხელისუფლებას ჩემი მოღვაწეობის უაღრესად მაღალი შეფასების გამო. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოხუცებულობა დამშვენდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მონიჭებული მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდებით. ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა თქვენი დახმარებით მივცე სოციალისტურ სამშობლოს, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სამშობლოს მეცნიერ მუშაკებისა და ექიმების ახალი კადრები.

უფრო მეტად აღფრთოვანებული, ახალი ენერგიითა და ძალით განვაგრძობ მუშაობას ჩემს საყვარელ სარბიელზე—მშრომელთა მასის ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

პროფ. ი. თიკანაძე

XII საჭადრაკო ტურნირი

XVII ტური

27 სექტემბერს ბოტვინიკი მე-43 სვლაზე დანებდა ლილიენტალს. ბონდარევსკი შავებით ეთამაშა მიკენასს და პარტია მოუგო. რაგოზინმა მოუგო ლისიცინს. კონსტანტინოპოლსკი - ბოლესლავსკის თამაში ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი ექვსი პარტია პანოვ - სტოლბერგის, ვერესოვ-პეტროვის, მაკოგონოვ - დუბინინის, კერეს - ლევენფიშის, კოტოვ-სმისლოვისა და გერსტენფელდ-რუდაკოვსკისა გადაიდო.

28 სექტემბერი გადადებული პარტიების გათამაშების დღეა.

ლევენფიში და პანოვი მე-14 ტურის დაუმთავრებელ პარტიაში გაუთამაშებლად შეთანხმდნენ ყაიმზე.

საბჭოთა კავშირში

ბრმებს მხედველობა დაუბრუნდათ

ოდესა. უკრაინის ექსპერიმენტული ოფტალმოლოგიის ინსტიტუტში 1000 ოპერაციაა გაკეთებული რქოვანას გადასარგავად. აკადემიკოს ფილატოვის მიერ შემოღებულმა ამ მეთოდმა მეტად ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა.

27 წლის წინათ ქალაქ ბაქოში უბედურმა შემთხვევამ დააბრმავა ამხ. ახმედოვი. აკადემიკოსმა ფილატოვმა ავადმყოფს მკვდრის რქოვანა ჩაუსვა და მხედველობა დაუბრუნა.

მხედველობა დაუბრუნდა ულიანოვსკელ 64 წლის კოლმეურნეს ამხ. იუდინს და მრავალ სხვას.

სეზონის გახსნა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

28 სექტემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო თეატრმა ახალი სეზონი, დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, გახსნა კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“.

ოპერის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორ შ. აღსაბაძეს, დეკორაციული გაფორმება — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარ ირ. გამრეკელს. ოპერას დირიჟორობდა შ. აზმაიფარაშვილი, ცეკვა დასდგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ჯავრიშვილმა.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: ე. სოხაძე (ეთერი), დ. ანდღულაძე (აბესალომი), პ. ამირანაშვილი (მურმანი), ა. სტეპანიანი (ნათელა), ნ. ხარაძე (მარიხი) და სხვ.

ცეკვაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ლ. გვარამაძე, და ე. საფაროვა, კ. ბუზანსკაია, ა. ჩიხლაძე და სხვ.

○

სეზონის პირველ პრემიერად თეატრი დასდგამს კომპოზიტორ ანდრიაშვილის ოპერას „კაკო ყაჩაღი“. (საქდესი).

გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XV ყრილობა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, საქ. სსრ შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის XV ყრილობა.

ყრილობის დელეგატთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი ახალგაზრდები, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, ორდენოსნები, საწარმოთა საუკეთესო სტახანოველები, სოციალისტური საკოლმეურნეო შრომის, სტალინური მოსავლისათვის ბრძოლის ოსტატები, სტალინური სტიპენდიატები და სხვ.

ყრილობა გახსნა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანმა ამხ. ა. მირცხულავამ.

დელეგატები ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს; საქმიან პრეზიდიუმში ყრილობამ ერთსულოვნად აირჩია ამხანაგები: ჩარკვიანი, ბაქრაძე, შეროზია, ჯაში, თოფურიძე, თავაძე, იშხანოვი, მირცხულავა, ბირკაძე, ქვანია, იმნაიშვილი, ცქიტიშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი სულაბერიძე, ორდენოსანი პოეტი ი. აბაშიძე, ტუსკაძე, სანიკიძე, კაბულოვი, ტყიბულის სტახანოველი მაღაროელი ახვლედიანი, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი ზეინკალი ცხვედაძე, კოლმეურნე ქალი აქბარდია, მოწერელია, აგაშენაშვილი, აიზენშტადტი, გრიგოლია, გოზალოვი, რუხაძე, როთველიაშვილი, მიქელაშვილი, ბოლაშვილი.

სამანდატო კომისიაში არჩეული არიან ამხანაგები: დანილევიჩი, გოგლიძე, ბირბიჩაძე, ლომიძე, ხურცია, ალიევი, გრუშინი, ცაგარეიშვილი და ჯალაღანია.

სამდივნო არჩეულია ამხ. ბუდუმიანის, დუმბაძის, სიჭინავას, აშიროვის, თოდაძის, წულაიას და ფარულავას შემადგენლობით.

სარედაქციო კომისიაში არჩეული არიან: მჭედლიშვილი, სემიონოვი, ჭანტურიშვილი, პეტროსიანი, ხეთაგუროვა, ჭითანავა და ცქრიალაძე.

დელეგატები ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებითა და ერსულოვნობით ირჩევენ ხალხთა გენიალურ ბელადს, ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარს დიდ **სტალინს**, აგრეთვე ამხანაგებს: **მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს.**

დარბაზში დიდხანს არ ცხრება მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, ადგილებიდან ისმის შეძახილები: **„გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ ბერიას!“.** და ამ აღტაცებულ შეძახილებს მთელი დარბაზი ერთსულოვანი „ვაშას“ ძახილითა და ტაშით ხვდება.

შემდეგ დელეგატებმა ერთხმად დაამტკიცეს ყრილობის დღის წესრიგი:

1. საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში,
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში,
3. საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის არჩევნები,
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. **ა. მირცხულავა.**

ყრილობის ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. ა. არტაზოვი).

ამის შემდეგ გუშინდელი სხდომა დაიხურა.

ყრილობის პირველი სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები: **ბაქრაძე, შეროზია, ჯაში, თავაძე, იშხანოვი, კვაჭაძე.**

ყრილობის მეორე სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

იმ დღეს, როდესაც ლატვიის სს რესპუბლიკის მთელი მშრომელი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნავს დიდ გამარჯვებას — მთელი მიწის გადაცემას მის ნამდვილ პატრონ-მშრომელთა ხელში, ჩვენს ულრმეს მადლობასა და მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ.

განვლილია ჩვენი რესპუბლიკის განვითარების დიდი ისტორიული ეტაპი. ახლებურმა მიწათმოწყობამ სრულიად შეუცვალა სახე ლატვიის სოფელს და 70 ათასზე მეტ მშრომელს გზა გაუხსნა შეძლებული და ბედნიერი ცხოვრებისაკენ სოციალისტურ ლატვიაში.

მთელს ამ მუშაობაში ჩვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ვხელმძღვანელობდით თქვენი მითითებებითა და ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის კოლოსალური გამოცდილებით.

პირობას გაძლევთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა განვამტკიცოთ მუშებისა და გლეხების კავშირი ჩვენს ქვეყანაში და რაც შეიძლება მალე გადავაქციოთ იგი შეძლებულ და აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდს ოჯახში.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის სახელოვან პარტიას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

მიღებულია რიგაში 25 სექტემბერს მიწისმომწყობ კომიტეტთა და სათემო სამმართველოების მუშაკთა, მიწისმზომელთა, მიწით დაკმაყოფილებული მშრომელი გლეხობის წარმომადგენელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ლატვიის სს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის დამთავრებას. დაესწრო 700 კაცი.

ვ. ი. ლენინის მიერ რუსეთის აკკ სრულიად-რუსეთის III ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის 20 წლისთავის გამო

მოსკოვი, 27 სექტემბერი (საქდესი). მოსკოვის ჩერნიშევსკის სახელობის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის სტუდენტები ენერგიულად ემზადებიან შესანიშნავი თარიღის ვ. ი. ლენინის მიერ რუსეთის აკკ III ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის 20 წლისთავისათვის. ყველა ჯგუფსა და ფაკულტეტში 200-ზე მეტი აგიტატორი მოაწყობს ვლადიმერ ილიას-ძის ისტორიული სიტყვისადმი მიძღვნილ საუბარს. ინსტიტუტის კომკავშირელები ასეთ საუბრებს აწყობენ სოკოლნიკის რაიონის ახალგაზრდათა შორის და საშეფო სკოლებში. მრავალ ჯგუფში განზრახულია მოეწყოს თეორიული კონფერენციები კომუნისტური მორალის შესახებ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოეწყობა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის საერთო - საინსტიტუტო კრება.

აქ სიტყვას წარმოსთქვამენ ისტორიული ყრილობის მონაწილე მწერლები და პოეტები და ძველი კომკავშირელები.

დედაქალაქის სტალინის რაიონის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სკოლებში ეწყობა ვ. ი. ლენინის ისტორიული სიტყვისადმი მიძღვნილი კრებები, საუბრები და კითხვა.

საუბრები ვლადიმერ ილიას-ძის სიტყვის 20 წლისთავის შესახებ ეწყობა ფრუნზეს სახელობის ქარხანაში, „კრასნი პროლეტარში“, სატრანსფორმატორო ქარხანაში და სხვ.

სამეთაურო-საშტაბო სწავლება ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქში

თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის საბჭოთა კავშირის მარშალ ს. მ. ბუდიონის გამოსვლა სწავლების გარჩევაზე

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქში ჩატარებულმა სამეთაურო-საშტაბო სწავლებამ მეთაურებისა და შტაბების წინაშე ბევრი ახალი და საინტერესო საკითხი დააყენა. მთიან ადგილას სამი დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ სწარმოებდა დიდი ამოცანების გადაჭრა. ამ სწავლების მონაწილეებმა არა მარტო გამოაჩინეს თავისი უნარი რთულ პირობებში ბრძოლის ორგანიზაციისა და მართვის დარგში, არამედ სწავლების პროცესში საკმაოდ ბევრი პრაქტიკული ჩვევაც მიიღეს.

„მოწინააღმდეგის“ წინასწარ მომზადებული თავდაცვითი ზოლის გარღვევის ორგანიზაცია და იმავე დროს ღია ფლანგის შემოვლა, გაძლიერების ნაწილებთან და ავიაციასთან ურთიერთმოქმედება, ბრძოლა „მოწინააღმდეგის“ ნაწილების მოსასპობად — ყველაფერი ეს მეთაურებისაგან მოითხოვდა გამბედაობას ამოცანების გადაჭრაში, თავისი შტაბების მიმართ ზუსტ კონკრეტულ ხელმძღვანელობას და მეთაურთა მთელი შემადგენლობის აქტიურ მუშაობას.

თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი ცდილობდა, რომ სწავლება რაც შეიძლება შედეგიანი ყოფილიყო. სწავლებამ ცხადჰყო, თუ როგორ უნდა მუშაობდეს მეთაური და მისი შტაბი თანამედროვე ბრძოლაში, რა საკითხებია ამჟამად მთავარი მეთაურთა საბრძოლო მომზადებაში.

სწავლების გარჩევის დროს მარშალმა აღნიშნა, რომ მეთაურებმა და შტაბებმა ამ დღეებში კეთილსინდისიერად იმუშავეს. წითელ არმიაში გაიზარდნენ კარგი მეთაურები—თავისი საქმის სპეციალისტები. მდიდარმა პრაქტიკამ, აკადემიებში მიღებულმა ცოდნამ, საბრძოლო გამოცდილებამ—ყველაფერმა ამან ხელი უნდა შეუწყოს შემდგომს წარმატებებს ჯარის საბრძოლო მომზადებაში.

დაწვრილებით აღნიშნა რა საბრძოლო მოქმედების ვითარება და მსვლელობა, მარშალმა ამომწურავად დაახასიათა თვითეული შტაბის მუშაობა. მარშალმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია მეთაურების მიერ გადაწყვეტილებათა მიღებას. მთელი სწავლების განმავლობაში მეთაურებს უხდებოდათ გადაწყვეტილებათა მიღება რთულ ვითარებაში მთიან ადგილას. თვითეული ამ გადაწყვეტილების მიხედვით შეიძლებოდა მეთაურთა განზრახვის გამორკვევა და, მაშასადამე, მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად ისწავლეს მეთაურებმა და შტაბებმა თავისი ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. სწავლებაში მონაწილეობას იღებდნენ მსროლელთა შენაერთების, არტილერიის, სატანკო ნაწილების, ავიაციის შტაბები. ბუნებრივია, რომ ურთიერთმოქმედების საკითხებმა ყველა მონაწილისა და ხელმძღვანელობის ყურადღება მიიპყრეს. ბრძოლის წარმატებას სწავლების ყოველ ეტაპზე განსაზღვრავდა ის, თუ რამდენად სწორად იყო მოწყობილი ურთიერთმოქმედება ჯარის სახეობათა შორის.

მარშალმა აღნიშნა, რომ სატანკო ნაწილის მეთაური პოლკოვნიკი ტარანოვი კარგად ხელმძღვანელობდა თავისი შტაბის მუშაობას. პოლკოვნიკი თვითონ სწორად და ენერგიულად მოქმედებდა და პრაქტიკულად ასწავლიდა თავის შტაბს, უსახავდა რა მას კონკრეტულ ამოცანებს. შტაბმა გამოიჩინა თავი როგორც მმართველობის საკმაოდ აწყობილმა აპარატმა. ამ შტაბის მეთაურებმა მიაღწიეს უნარიან ურთიერთმოქმედებას როგორც შტაბის შიგნით, ისე ჯარის სხვა სახეობათა შტაბებთან. კარგად იყო მოწყობილი ურთიერთ ინფორმაციაც. მარშალმა აღნიშნა ტანკისტ მეთაურთა— მაიორ შუბინის, კაპიტან ევსტიფეევის, უფროს ლეიტენანტ ხიონინის კარგი მუშაობა.

ამ მეთაურებმა მტკიცედ იციან თავიანთი მოვალეობანი. მათ მიაღწიეს შეწყობილობას და სიზუსტეს მუშაობაში და ამიტომ მეთაურისათვის უზრუნველჰყვეს ბრძოლის კარგად მართვა.

— საჭიროა აღინიშნოს,—სთქვა მარშალმა,—რომ სწავლების წარმატებით მიმდინარეობას ხელი შეუწყო კავშირგაბმულობის კარგმა ორგანიზაციამ ყველა შტაბში — კავშირგაბმულობის გეგმები სწორად იყო დამუშავებული. ოპერატიული დოკუმენტების გაფორმება სწარმოებდა კარგად, შენაერთთა კავშირგაბმულობის უფროსები მოქმედებდნენ ენერგიულად და ინიციატიურად. კავშირი ავიაციისა და სატანკო ნაწილების შტაბებს შორის მთელი სწავლების პერიოდში უზრუნველყოფილი იყო კარგად მომუშავე რადიოსაშუალებებით. სწრაფად სწარმოებდა მიღება და გადაცემა რადიოსიგნალებისა ტანკების მიერ მიჯნების მიღწევის შესახებ. ავიაციას განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა ტანკებთან.

მარშალმა აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რომელიც სწავლების დღეებში ჩაატარა წითელი არმიის კავშირგაბმულობის გენერალ - ინსპექტორმა, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტმა ნაიდენოვმა.

ამასთან ერთად მარშალმა მიუთითა ცალკეულ ნაკლოვანებებზეც, რასაც ადგილი ჰქონდა სწავლების დროს. ზოგიერთმა მეკავშირე მეთაურმა უგულებელჰყო კავშირგაბმულობის კვანძების საინჟინრო მოწყობილობა.

მარშალი კმაყოფილი დარჩა ავიაციის შტაბის მუშაობით. შტაბი, მოქმედებდა რა ველად, ენერგიულად ეხმარებოდა მიწაზე მომქმედ ჯარებს, განსაკუთრებით ტანკებს.

დიდი ყურადღების ღირსია ავიაციის შტაბის მიერ მოწყობილი და განხორციელებული საპარაშუტო დესანტი მთებში. სწავლების უკანასკნელ დღეს, როდესაც „მოწინააღმდეგის“ წვრილი ნაწილების უკუგდებით ტანკებმა მიაღწიეს უღელტეხილ კ-ს, ჩამოშვებულ იქნა საპარაშუტო დესანტი, რომელიც ტანკებთან ერთად და ავიაციის დახმარებით აწარმოებდა ბრძოლებს „მოწინააღმდეგის“ მოწინავე ნაწილებთან და ინარჩუნებდა უღელტეხილს ქვეითი ჯარის მისვლამდე. საპარაშუტო დესანტი პირველად იქნა განხორციელებული. მამაცებმა, რომლებსაც კაპიტანი ბახტაძე მეთაურობდა და რომლებმაც შეასრულეს ეს ამოცანა, გვიჩვენეს, რომ მთებშიც წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას საპარაშუტო ნაწილები.

სამეთაურო - საშტაბო სწავლების გარჩევის დამთავრებისას მარშალმა აღნიშნა, რომ მხოლოდ დაძაბული ყოველდღიური სწავლით შეუძლიათ მეთაურებსა და შტაბებს შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც მათ თავდაცვის სახალხო კომისარმა დაუსახა.

— მოვითხოვ, — სთქვა მარშალმა, — რომ ყველა მეთაურს მუდამ ახსოვდეს, რომ სხვადასხვა პირობებში და ყოველ ადგილას საბრძოლო ამოცანების წარმატებით გადაჭრას შესძლებს მხოლოდ ის, ვინც მტკიცედ იცის თავისი მოვალეობები, თავისი ადგილი ბრძოლაში, ვინც განუწყვეტლივ იზრდება და ხელოვნდება.

ამ სამეთაურო - საშტაბო სწავლების შედეგად მთელი სისრულით იქნა გამოვლინებული პრინციპები თანამედროვე ბრძოლისა, რომელიც ჯარის ყველა სახეობის ურთიერთმოქმედების პირობებში მიმდინარეობს. დაწვრილებითმა გარჩევამ უჩვენა მეთაურებს, თუ რაზეა საჭირო მუშაობა ამჟამად და როგორ უნდა სრულდებოდეს თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშალ ს. კ. ტიმოშენკოს მითითებები და ბრძანებანი.

სწავლების გარჩევის დამთავრების შემდეგ მოხსენებით წითელი არმიის ახალი საველე წესდების შესახებ გამოვიდა საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი კურდიუმოვი.

მაიორი
ბ. ზასუხინი, ზ. ხირენი
(„პრავდა“, 28 სექტემბერი).

ჩრდილოეთ-ოსეთის კიროვისა და ორჯონიკიძის სახელობის მუზეუმი

ორჯონიკიძე, 26 სექტემბერი (საქდესი). ქალაქის ცენტრის დიდ ორსართულიან შენობაში რევოლუციამდე მოთავსებული იყო გაზეთ „ტერეკის“ რედაქცია, რომელშიც თანამშრომლობდა ს. მ. კიროვი. ამჟამად ეს შენობა კაპიტალურად არის შეკეთებული. აქ ეწყობა ჩრდილოეთ-ოსეთის კიროვისა და ორჯონიკიძის სახელობის მუზეუმი.

ექსპონატები განლაგდება თორმეტ ვრცელ დარბაზში. ფართოდ იქნება ნაჩვენები კიროვისა და ორჯონიკიძის ერთად მუშაობა სამოქალაქო ომის წლებში. დიდი დარბაზი დათმობილი აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში მათი რევოლუციური მოღვაწეობის ჩვენებას. იქვე გამოფენილ იქნება ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც გვიხატავენ ამხანაგ სტალინის როლს კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში.

ამჟამად მუზეუმის ფონდი დაახლოებით ათას ექსპონატს შეიცავს, მათ შორის არის ს. მ. კიროვის თოფი, პორტსიგარი და სხვა ნივთები. გ. კ. ორჯონიკიძის წითელარმიული მუზარადი და კოსტიუმი, აგრეთვე ალბომი, რომელიც 50 წლისთავზე მიუძღვნა მას ინგუშმა ხალხმა. ალბომში მოთავსებულია მისასალმებელი წერილი, რომელსაც ხელს აწერს 18 ათასზე მეტი კაცი.

მუზეუმი ოქტომბერში გაიხსნება.

თბილისი. სურათზე: საქართველოს ალკკ XV ყრილობის დელეგატები აჭარის ასს რესპუბლიკიდან (მარცხნიდან მარჯვნივ): ო. მახარაძე, ა. ზედანია, ლ. უგრეხელიძე, ვ. გეგეჩაძე, შ. კალანდაძე, ს. კოპეიკინი, ე. ლევინი, ა. მახარაძე, გ. სიხარულიძე, გ. უნგიაძე. ფოტო გლ. გინზბურგისა.

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის XV ყრილობა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

ამხ. ალ. მირცხულავას მოხსენებიდან 1940 წ. 28 სექტემბერს

ამხანაგებო! საანგარიშო პერიოდი, ე. ი. საქართველოს ალკკ XIV ყრილობიდან XV ყრილობამდე განვლილი დრო, შეიცავს ერთ წელიწადსა და რვა თვეს. ეს პერიოდი დროის მიხედვით არც თუ ისე დიდია, მაგრამ მეტისმეტად მდიდარია უდიდესი პოლიტიკური მოვლენებით როგორც ჩვენი სახელმწიფოს, ისე კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრებაში.

ყველა მოვლენებიდან ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ლენინ-სტალინის პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში იყო მოწვევა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისა, რომელმაც განსაზღვრა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის დიადი და ძლევამოსილი გზა.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ კომკავშირული ორგანიზაციები შევიდნენ თავისი მოღვაწეობის ყველაზე უფრო ბრწყინვალე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ხანაში. ამ ყრილობამ ამომწურავი სისრულით განსაზღვრა კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდისათვის.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით სრული რწმენით გამოდიან სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის ფართო გზაზე. ისინი ენერგიულად მონაწილეობენ თავის საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების სამეურნეო ცხოვრებაში.

ფაბრიკებში, ქარხნებში, ახალ მშენებლობებსა და კოლმეურნეობებში იზრდება და მრავლდება სტახანოველი, დამკვრელი ახალგაზრდების რიგები.

საქართველოს კომკავშირი არის მესამე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი მშენებლობის — საქ. ნავთისა და კოლხიდმშენის შეფი. აქ კომკავშირლები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა ენერგიული მუშაობით ამართლებენ თავიანთ შეფობას. ცენტრალური კომიტეტის მითითებით წითელწყაროს, ლანჩხუთისა და თბილისის სასოფლო რაიკომებმა ნავთის სარეწაოებზე სამუშაოდ გაგზავნეს კომკავშირული და კავშირგარეშე ახალგაზრდობა.

ადგილობრივი ახალგაზრდა კადრების აღზრდის მიზნით ჩვენ საქნავთის ტრესტთან ერთად ბაქოში გავგზავნეთ 51 კომკავშირელი, რომლებიც სათანადო კვალიფიკაციის მიღების შემდეგ დაბრუნდნენ და ამჟამად მუშაობენ მირზაანის, შირაქის, ნორიოსა და სუფსის ნავთის სარეწაოებში.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდობამ დაივალეს ჩვენი ყრილობის დღისათვის გეგმის გარეშე გამოუშვან 3 ორთქლმავალი და 5 სამგზავრო ვაგონი, აითვისონ საზამთროდ მომზადებისათვის საჭირო ყველა სამუშაო, ლ. ბერიას სახელობის რკინიგზას გეგმის ზევით მისცენ 100 ტონა თუჯის და 15 ტონა ფერადი ლითონების ნადნობი, შეაგროვონ 100 ტონა ფერადი და შავი ლითონის ნარჩენები და ა. შ. ეს ვალდებულება მათ წარმატებით შეასრულეს.

გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაში განსაკუთრებული ინიციატივა და წარმატება გამოიჩინეს სამხრეთ-ოსეთის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია ფაბრიკაში, ქარხანასა და ახალ მშენებლობაზე უნდა იყოს თავისი საწარმოს მუშაობის კურსში. კომკავშირულმა კომიტეტმა უნდა იცოდეს თავისი საწარმოს გეგმა, მისი შესაძლებლობანი, გამოსაშვები პროდუქციის დანიშნულება და ამის შესაბამისად დარაზმოს ყველა კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა ამოცანების შესრულებისათვის.

ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად ენტუზიაზმის მაღალი გრძნობით შეხვდა სრულიად-საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მიმართვას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებას „8-საათიან სამუშაო დღეზე და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლისა და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ", რომლებიც მიმართულია ჩვენი სამშობლოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ.

ამ კანონის მიღების დღიდან საწარმოებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ საქმეში მაინც გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი.

საქართველოს ალკკ ც. კ-ის ბიურომ განიხილა საკითხი ბრძანებულების განხორციელებისათვის თბილისის მაუდის ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ კომკავშირულ კომიტეტს და მის ყოფილ მდივანს ამხ. ცქიტიშვილს ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია. დაკმაყოფილდნენ რა საზეიმო მიტინგზე საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მიმართვის გაცნობით, მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 26 ივნისის ბრძანებულება არ დაიყვანეს თვითეულ კომკავშირელამდე, რის შედეგად კომკავშირელების მხრივ ადგილი ჰქონდა მთელ რიგ გაცდენებსა და დაგვიანებებს.

მომხსენებელმა ამასთანავე აღნიშნა ახალგაზრდობის გაზრდილი როლი კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრების შექმნის საქმეში. სოფლის 143.804 კომკავშირელიდან 72.455 ამხანაგი უშუალოდ კოლმეურნეობებში მუშაობს. საქართველოს 51 რაიონში სოფლის საბჭოს თავმჯდომარეებად მუშაობს 108 კომკავშირელი, კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებად — 577, ბრიგადირებად—4.063, კომბაინერებად — 69, მეცხოველეობის ფერმების გამგეებად — 594, აგრონომებად —739, ტრაქტორისტებად — 696 კომკავშირელი და ა. შ.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორებად გამოვიდნენ ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირელები. მათ მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებები აიღეს და მოწოდებით მიმართეს საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე კომკავშირელებსა და კავშირგარეშე ახალგაზრდობას. კომკავშირელები ღირსეულად ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს. ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ კომკავშირელთა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის დახმარებით პირველი სექტემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა.

შეეხო რა კომკავშირის ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს ხელმძღვანელ პარტიულ, კომკავშირულ, სამეურნეო და საბჭოთა სამუშაოზე აქტიური ახალგაზრდების დაწინაურების საქმეში.

საანგარიშო პერიოდში პარტიულ სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა 360 კომკავშირელი მუშაკი. ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე დაწინაურებულია 415 კომკავშირელი, სამეურნეო სამუშაოზე—3.800, საქ. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 3.907 კომკავშირელი.

მომხსენებელს მოჰყავს მრავალი ფაქტი იმის შესახებ, რომ დაწინაურებული ამხანაგები პრაქტიკულ სამუშაოზე ამართლებენ პარტიისა და მთავრობის ნდობას.

საქ. ალკკ ც. კ-ი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე უნარიან, აქტიურ კომკავშირელ - ქალთა დაწინაურებას. საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების 89 მდივნიდან 16 ქალიშვილია.

კადრების დაწინაურებას ხელს უწყობდა საქ. ალკკ ც. კ-ის XI პლენუმის გადაწყვეტილება კომკავშირულ აქტივთან მუშაობის გაუმჯობესებისა და კომკავშირული აპარატის გარდაქმნის შესახებ. კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულ განყოფილებათა გაუქმებამ და მუდმივად მომქმედი კომისიების შექმნამ შედეგად მოჰყვა ახალი აქტივის ჩაბმა კომკავშირულ მუშაობაში.

საქ. ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა სასკოლო ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მომუშავე მუდმივმა კომისიამ, რომელშიც 9 წევრი შედის, შეამოწმა ქ. თბილისის სკოლების უმრავლესობა, თუ რამდენად იყვნენ ისინი მზად ახალი სასწავლო წლისათვის. ეს საკითხი შემდეგ განიხილა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა. ამ საკითხის მომზადებაში კომისიის წევრთა გარდა 40 აქტიური კომკავშირელი მონაწილეობდა.

შემდეგ მომხსენებელი, ახასიათებს რა მუდმივად მომქმედი კომისიების დადებით მუშაობას აღბულაღის რაიონულსა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტებთან, ეხება იმ კომისიებს, რომლებიც თავიდანვე ცუდად შეუდგნენ მუშაობას. ახალქალაქის რაიკომმა დღემდე ვერ შესძლო შეერჩია მუდმივი კომისიების წევრები, თვითეულ კომისიაში დამტკიცებულია მხოლოდ 2-3 კაცი, რომლებიც უმოქმედობას იჩენენ. ამ კომისიებს არცერთი საკითხი არ დაუყენებიათ რაიკომის ბიუროზე.

ბევრ რაიკომსა და საქალაქო კომიტეტში (ასპინძა, ცაგერი, სტალინირი და სხვ.) ჯერ კიდევ არ არის შექმნილი შტატგარეშე ინსტრუქტორთა ჯგუფები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ კომკავშირული მუშაობის გარდაქმნისათვის.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საქართველოს კომკავშირის ზრდის დახასიათებაზე და აღნიშნავს: თუ კომკავშირის XIV ყრილობისათვის საქართველოში კომკავშირის 221.637 წევრ-კანდიდატი ითვლებოდა, 1940 წლის 1 ივნისისათვის ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციებში ირიცხება 276.853 წევრი და კანდიდატი. მათ შორის ქალიშვილთა რაოდენობა 96.857-ს ანუ მთელი შემადგენლობის 34 პროცენტს უდრის. XIV და XV ყრილობებს შორის კომკავშირის რიგებში მიღებულია 112.257 კაცი, მათ შორის ქალები შეადგენენ 37,4 პროცენტს.

შემდეგ მომხსენებელმა მოიყვანა კომკავშირში ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის მისაღებად არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მაგალითები ადიგენის, ბაშკიჩეთის, დუშეთის, კასპის, ჭიათურის, მახარაძისა და სხვა რაიონებიდან.

გაიზარდა პირველადი ორგანიზაციების რაოდენობაც. თუ XIV ყრილობისათვის საქართველოში იყო 8.017 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, ახლა გვაქვს 8.923. ზოგან სუსტად სრულდება პარტიისა და კომკავშირის მითითება თვითეულ კოლმეურნეობასთან პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის შექმნის შესახებ. დღემდე 478 კოლმეურნეობასთან არ არის შექმნილი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები.

შემდეგ მომხსენებელი გადადის პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობაზე საქართველოს კომკავშირში და მრავალი ფაქტებით ახასიათებს თუ რა დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული საქართველოს კომკავშირს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისა და მის შესაბამისად საქ. ალკკ ც. კ-ის დადგენილების განხორციელების საფუძველზე.

გაწეული მუშაობის შედეგად ასობით და ათასობით კომკავშირელი და ახალგაზრდა შეუდგა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის 696 კომკავშირელიდან „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" დამოუკიდებლად სწავლობს 450 კაცი. პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ქარხანაში ჩატარებულია 35 ლექცია, სამი თეორიული კონფერენცია, სისტემატურად ტარდება კონსულტაციები და ამხანაგური საუბრები. კარგად არის ეს საქმე დაყენებული ს. ორსანტიის (ზუგდიდის რაიონი) გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 41 კომკავშირელიდან დამოუკიდებლად მეცადინეობს 29 კაცი.

მომხსენებელს მოჰყავს მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკები, მაგრამ ამასთან ერთად აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც „გადატვირთვის" მომიზეზებით დრო „არ რჩებოდათ" თვითგანვითარებისათვის.

სალექციო მუშაობამ ფართო გასაქანი ჰპოვა კომკავშირული და კავშირგარეშე ახალგაზრდობაში. მოწყობილია ლექტორთა ჯგუფები საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, თბილისის საქალაქო კომიტეტთან და აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტებთან. ჩატარდა 4.876 ლექცია, რომლებსაც დაესწრო 329.383 კაცი.

იმასთან დაკავშირებით, რომ კომკავშირელთა დიდი ნაწილი დამოუკიდებლად სწავლობს, მნიშვნელოვნად შეიკვეცა წინათ არსებული წრეების რაოდენობა. ახლა ჩვენ გვაქვს 571 წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 10.171 კაცი.

შეეხო რა კომკავშირული გაზეთების მუშაობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომკავშირულმა გაზეთებმა საანგარიშო პერიოდში სერიოზულად გააუმჯობესეს მუშაობა. პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქ. ალკკ ც. კ-ის დადგენილების შემდეგ „ახალგაზრდა კომუნისტმა" და „მოლოდოი სტალინელმა" დაბეჭდეს თეორიული ხასიათის 335 სტატია და კონსულტაცია, რომელთა შორის ორიგინალური იყო 169. გააუმჯობესა თავისი მუშაობა გაზეთმა „ნორჩმა ლენინელმაც". შედარებით ცუდად მუშაობენ საოლქო კომკავშირული გაზეთები.

საქ. ალკკ X პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე საქ. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმე. სკოლების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა ისეთი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც ენერგიულად ეხმარებიან სკოლასა და მასწავლებელს შეგნებული დისციპლინის განმტკიცებაში, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და სასკოლო მეურნეობის მოწესრიგებაში.

პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები არსებობს სოფლის 1.423 და ქალაქის 293 სკოლაში. პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია არსებობს ყველა საშუალო და პედაგოგიურ სასწავლებელში.

კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოები სისტემატურად იხილავენ სკოლის მუშაობის საკითხებს და სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად სახავენ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მაგრამ ეს საქმის დასაწყისია. სასკოლო მუშაობაში ბევრი ნაკლოვანებაა. ჯერ კიდევ არის სკოლებში ხულიგნობის, გაკვეთილების გაცდენის, სასკოლო ინვენტარისა და ქონებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების შემთხვევები, რაც უცხო უნდა იყოს საბჭოთა სკოლისათვის.

საქართველოში გვყავს 30.158 მასწავლებელი, რომელთა შორის კომკავშირელია 12.564 კაცი. აქაიქ ჯერ კიდევ ადგილი აქვს მასწავლებლისადმი უხეში, ხულიგნური დამოკიდებულების შემთხვევებს. ჯვარის (წალენჯიხის რაიონი) საშუალო სკოლის მოსწავლემ ვახტანგ ფარცვანიამ დავა დაუწყო მასწავლებელს და დაუშვებელი სიტყვებით მიმართა იმისათვის, რომ მასწავლებელმა მას ცუდი ნიშანი დაუწერა. ამ მოსწავლემ მასწავლებელს ბლოკნოტი მოჰპარა, კარგ ნიშანზე გადაასწორა თავისი ცუდი ნიშანი და კომკავშირულ კრებაზე შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებელს.

დაწვრილებით დაახასიათა რა საანგარიშო პერიოდში პიონერორგანიზაციების მუშაობა, მომხსენებელი შეეხო სკოლის გარეშე მუშაობის, ბავშვთა თვითშემოქმედების ოლიმპიადების, საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სხვა საკითხებს და ყრილობის წინაშე გადაშალა ამ მხრივ მოპოვებული წარმატებანი და აგრეთვე შეეხო მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა სტუდენტ ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხებზე. მან მოიყვანა უმაღლეს სკოლებში კომკავშირული ორგანიზაციების ნაყოფიერი მუშაობის მთელი რიგი მაგალითები, ამასთანავე მკაცრად გააკრიტიკა არსებული ნაკლოვანებანი და საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს მოუწოდა დაეხმარონ სტუდენტობას, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებს მოწინავე მეცნიერების დაუფლების საქმეში.

მომხსენებელი შეჩერდა სამხედრო-თავდაცვით და ფიზკულტურულ მუშაობაზე. მან აღნიშნა, რომ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში საშეფო სამხედრო ნაწილებთან ერთად მასობრივად ტარდება სამხედრო-ტაქტიკური მეცადინეობა, გასამხედროებული ლაშქრობა, ცხენით და ფეხით გადასვლები, სასროლო და სხვა ფიზკულტურულ - სპორტული შეჯიბრებანი. 1939 წ. აპრილში კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებამ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო შეჯიბრებებში ჩაბმის შესახებ სტუდენტობაში გამოიწვია მასობრივ-თავდაცვითი და ფიზკულტურული მუშაობის დიდი აღმავლობა.

— შემდგომში, — ამბობს მომხსენებელი, — ეს შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს უკეთესად და მასში ჩაბმულ იქნას ყველა უმაღლესი სასწავლებელი, ტექნიკუმი, საშუალო და არასრული საშუალო სკოლა.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს აგრეთვე წითელ არმიასა და სამხედრო - საზღვაო ფლოტში მორიგი გაწვევის წარმატებით ჩატარებისათვის მზადების საქმეში. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა წარმატებით შეასრულა საკ. ალკკ ც. კ-ის დავალება სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის კომკავშირელების შერჩევის შესახებ, და ფლოტში გაგზავნა 283 საუკეთესო მოწინავე, აქტიური კომკავშირელი.

საკ. ალკკ ც. კ-ის VIII და IX პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების და მთელი მისი მუშაობის განმტკიცებისათვის საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს.

— თუ საქართველოს კომკავშირის XIV ყრილობისათვის,—ამბობს მომხსენებელი, — გვქონდა თავდაცვა - ავიაქიმის 4.920 პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებდნენ 226.587 წევრს და მათ შორის 75.567 კომკავშირელს, კომკავშირის XV ყრილობისათვის გვაქვს თავდაცვა - ავიაქიმის 7.548 პირველადი ორგანიზაცია, რომლებშიც გაერთიანებულია 370.053 წევრი და მათ შორის 120.521 კომკავშირელი.

ცენტრალური კომიტეტი აგრეთვე სერიოზულად მუშაობდა აეროკლუბების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. საანგარიშო პერიოდში მომზადებულია მრავალი მფრინავი, ტექნიკოსი და პარაშუტისტი.

დიდი მუშაობა ჩაატარეს აგრეთვე კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებამ საკ. ალკკ ც. კ-ის IX პლენუმის გადაწყვეტილების შესასრულებლად: მედიცინის დების წარმოებიდან მოუწყვეტლად მომზადების საქმეში.

ამჟამად კი, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების საფუძველზე, მუშაობა ფიზკულტურის დარგში მნიშვნელოვნად გარდაიქმნა. ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად დღეისათვის მთელს საქართველოში მომზადებული გვყავს მშთ I საფეხურის 158.229 ნიშნოსანი, მშთ II საფეხურის 3.538 ნიშნოსანი და იმშთ 69.602 ნიშნოსანი. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფიზკულტურელების მიერ დამყარებულია ორი მსოფლიო, 55 საკავშირო და 324 რესპუბლიკური რეკორდი. მაგრამ, მიუხედავად ამ დიდი მიღწევებისა, ფიზკულტურული მუშაობის დარგში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებას. მაგალითად, სუსტად მიმდინარეობს ნიშნოსნების მომზადება, განსაკუთრებით სოფლად. არ არის გარდაქმნილი ფიზკულტურული ორგანოების მუშაობა აქტივის ფართოდ ჩაბმის საფუძველზე.

—კომკავშირული ორგანიზაციები, — ამბობს მომხსენებელი, — ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხების გადაწყვეტისას დაუზოგავად უნდა ებრძოდნენ მორალური და ყოფაცხოვრებითი გახრწნის თუნდაც მცირეოდენ გამოვლინებას. უნდა იბრძოლონ ლოთობის, ხულიგნობის, ქედმაღლობისა და ამპარტავნობის წინააღმდეგ.

მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები, თუ როგორ ებრძვის საქ. ალკკ ც. კ-ი ზოგიერთ კომკავშირელთა სქესობრივ თავაშვებულებას, ლოთობას, ხულიგნობას, სახელმწიფო ქონების მფლანგველობას. არიან აგრეთვე ისეთი კომკავშირელები, რომლებიც უპატიოსნოდ მუშაობენ, არღვევენ შრომის დისციპლინას, უშვებენ წუნდებულ პროდუქციას.

— მართალია, — ამბობს მომხსენებელი, — ასეთი ფაქტები ბევრი არ არის, მაგრამ ისეც სერიოზული ყურადღების ღირსია კომკავშირული ორგანოების მხრივ.

— ჩვენ უნდა შევიგნოთ,—განაგრძობს მომხსენებელი, — რომ ბრძოლა „რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების განუხრელად გატარებისათვის ხდება საბჭოთა მოქალაქის უმაღლეს მორალურ მოვალეობად, ვინაიდან ეს ბრძოლა არის ბრძოლა სოციალისტური სამშობლოს ახალი, კიდევ მეტი აყვავებისათვის, ბრძოლა კომუნიზმისათვის.

— ხელმძღვანელი კომკავშირელი მუშაკი, — ამბობს მომხსენებელი, — უნდა იყოს თავმდაბალი, შრომისმოყვარული, პატიოსანი და დისციპლინირებული, მასების სიგნალებისადმი ყურადღებიანი, პოლიტიკურად მტკიცე, გამჭრიახი და ხალხის საქმისათვის უანგაროდ თავდადებული.

შემდეგ ამხ. მირცხულავა შეჩერდა ახალგაზრდა მწერლების ზრდასა და დაწინაურებაზე. ბევრმა მათგანმა უკვე მოგვცა კარგი მოთხრობები და ლექსები. ამ ახალგაზრდა მწერლების დიდი ნაწილი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე უკვე მიღებულია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებად. მაგრამ ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება ჯერ კიდევ ჩამორჩენილია და სუსტად აშუქებს ჩვენი ცხოვრების გმირულ სინამდვილეს. მათ ნაწარმოებებს ზოგჯერ აკლია აგრეთვე სიმარტივე, ზოგიერთი ლექსი გაუგებარია, თემატურად აბსტრაქტული და უსიცოცხლო.

— შემჩნეულია აგრეთვე, — ამბობს მომხსენებელი, — რომ ჩვენს ახალგაზრდა მწერლებში გავრცელებულია ერთი არაჯანსაღი მიდრეკილება. ეს არის მათი ნაადრევი პროფესიონალობა. ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს, როგორც კი რამდენიმეჯერ გამოაქვეყნებს გაზეთში ან ჟურნალში კიდევ მოუმწიფებელ მოთხრობას და ლექსს, უკვე დასრულებულ, პროფესიონალ მწერლად მოაქვს თავი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა ახალგაზრდა მწერლებზე, ჟურნალმა „ჩვენი თაობა"-მ და კომკავშირულმა გაზეთებმა უნდა აწარმოონ ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებების გაბედული და საქმიანი კრიტიკა.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა თეატრალური ხელოვნების, კინოსა და შემოქმედებითი მუშაობის სხვა სახეების ახალგაზრდა კადრების ზრდაზე. ახალგაზრდა კადრები ჰყავს რუსთაველის, მარჯანიშვილის, ოპერის, მოზარდ მაყურებელთა თეატრებს, კინო-სტუდიას. ხელოვნების გამოჩენილმა და ცნობილმა მუშაკებმა ყოველდღიური დახმარება უნდა გაუწიონ ამ ახალგაზრდა კადრების ზრდასა და წარმატებას.

— საქართველოს მწერალთა კავშირმა და საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა, — ამბობს დასასრულს მომხსენებელი, —აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საქმეში და კინოსტუდიას დაახმარონ გამოცდილი, კვალიფიციური მწერლები და პედაგოგები.

შეჩერდა რა ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების არჩევნების შედეგებზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდა კომკავშირული ორგანოების მუშაობის კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. მათ გვიჩვენეს კომკავშირელების მაღალი ორგანიზებულობა და აქტივობა. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ესწრებოდა 234.976 კომკავშირელი, რაც შეადგენს 90 პროცენტს. საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში არჩევნები ჩატარდა 8.647 კომკავშირულ პირველადს ორგანიზაციაში.

კომკავშირის კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების მდივნებიდან ახლად არჩეულია 4.782 კაცი; რაიკომების, ქალაქკომების პლენუმის 2.513 წევრისაგან ახლად არჩეულია 2,269 კაცი.

ამ არჩევნების შედეგად კომკავშირულ სამუშაოზე მოვიდა ახალგაზრდა აქტივი, რომელსაც შესწევს უნარი ახლებურად, ენერგიულად გარდაქმნას კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა კომკავშირელი ქალების დაწინაურებას კომკავშირულ სამუშაოზე.

შემდეგ ამხ. მირცხულავამ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომკავშირი, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ყოველდღიური ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო გაიზარდა, განმტკიცდა და გაძლიერდა.

პარტია ანდობს კომკავშირს ფრიად საპასუხისმგებლო პოლიტიკური მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ საქმეებს და გულისხმიერი მზრუნველობით ხელმძღვანელობს მას ამ სახელმწიფოებრივი საქმეების შესრულებაში.

პარტიის ამ ნდობას კომკავშირი აფასებს ისე, როგორც საკუთარ სიცოცხლეს. მას საბჭოთა ხალხთან ერთად სწამს კომუნიზმის გამარჯვება დიდი გენიოსის და ხალხთა ბელადის—ბრძენი **სტალინის** ხელმძღვანელობით.

საქართველოს კომკავშირი, — ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. მირცხულავა, — აღზრდილი საუკეთესო სტალინელის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მიერ, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით, თავისი XV ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო შეაკავშირებს კომკავშირელებს და მთელს ახალგაზრდობას სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ, ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

ყურძნის კრეფა და დამზადება

საქართველოს მევენახეობის ყველა რაიონში გაჩაღებულია რთველი და სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარება.

სამტრესტმა კოლმეურნეობებთან დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით დაამზადა 805 ცენტნერი ყურძენი; გეგმით უნდა დამზადდეს 155 ათასი ცენტნერი. სამტრესტის სისტემის საბჭოთა მეურნეობებმა დაამზადეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 11.143 ცენტნერი ყურძენი—გეგმის 17,5 პროცენტი. წინ არის კარდანახის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ყურძნის კრეფისა და ჩაბარების გეგმა შესრულებული აქვს 37,2 პროცენტით.

შამპანურმა კომბინატმა დაამზადა 3.206 ცენტნერი ყურძენი, აქედან 1660 ცენტნერი დამზადებულია კომბინატის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში. შამპანური ჯიშის ყურძენი დამზადებულია 2.588 ცენტნერის რაოდენობით. ყურძნის დამზადების გეგმა კომბინატს შესრულებული აქვს 2,5 პროცენტით. (საქდესი).

138 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე

ბორჩალო, (საქდესი). გიაურარხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში გაჩაღებულია რთველი. ახლა იკრიფება „რქაწითელი" და „თავრიზის" ჯიშის ყურძენი. საშუალოდ ერთ ჰექტარზე მოდის 50-60 ცენტნერი ყურძენი მაშინ, როცა გეგმა 40 ცენტნერს უდრის. ცალკე უბნები კიდევ უფრო უხვ მოსავალს იძლევიან. სტახანოველმა ქალებმა ამხ. მაცნევამ და ქარიმოვამ საჩვენებელი ნაკვეთის ერთ ჰექტარზე მოჰკრიფეს 138 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება კოლმეურნეობებში

საქმიწსახკომის 25 სექტემბრის ცნობებით, ამოღებულია სულ 49.882 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, გეგმის 4,6 პროცენტი. აქედან ხაშურის რაიონში ამოღებულია 26.000 ცენტნერი, გეგმის 11,8 პროცენტი, ქარელის რაიონში—14.500 ცენტნერი, გეგმის 5,3 პროც., გორისაში — 1.234 ცენტნერი, გეგმის 0,4 პროც., კასპისაში — 8.148 ცენტნერი, გეგმის 2,8 პროცენტი.

25 სექტემბრისათვის სახელმწიფოსათვის ჩაბარებული იყო სულ 40.838 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, გეგმის 3,8 პროცენტი. ხაშურის რაიონს ჭარხლის ჩაბარების გეგმა შესრულებული ჰქონდა 9,5 პროცენტით, ქარელისას — 4,9, გორისას — 0,3, კასპისას—2 პროცენტით.

დაიწყო ჯებირების მშენებლობა მდ. რიონისა და ხობის ნაპირებზე

სამუშაოდ ყოველდღე გამოდის 7.000-ზე მეტი კოლმეურნე

კოლხიდის ამოშრობისა და მისი აყვავებულ სუბტროპიკულ მხარედ გადაქცევის გრანდიოზულ გეგმაში დიდი ადგილი უჭირავს მდინარე რიონისა და ხობის ნაპირების გამაგრებას. წარსულში, რიონისა და ხობის ადიდების დროს, ეს მდინარეები ნაპირებიდან გადმოდიოდა, კოლხიდის დაბლობს ედებოდა და ხელს უწყობდა მის შემდგომ დაჭაობებას.

„კოლხიდმშენი" შეუდგა რიონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე და აგრეთვე ხობის ნაპირებზე დიდი ჯებირების აგებას. ამ მუშაობაში დიდ მონაწილეობას იღებს დასავლეთ საქართველოს 12 რაიონის—აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ფოთის, ჩოხატაურის, წულუკიძის, სამტრედიის ასობით კოლმეურნე.

მიწის სამუშაოს შესასრულებლად ყოველდღე 7.000-ზე მეტი კოლმეურნე გამოდის. ცალკე რაიონებსა და კოლმეურნეობათა შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება მიწის სამუშაოს გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

მიწაყრილის დაყრა უახლოეს ხანში დამთავრდება. ეს სამუშაო 2 მილიონი მანეთი დაჯდება.

სულ კოლხიდის ამოშრობის მორიგ სამუშაოზე წელს „კოლხიდმშენი" ხარჯავს 17 მილიონ მანეთს. (საქდესი).

ზუგდიდი, 28 სექტემბერი (საქდესი). ზუგდიდის რაიონის 18 კოლმეურნეობა აქტიურად მუშაობს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე ჯებირების ასაგებად. მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს წალენჯიხის, ჩხოროწყუს, აბაშისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობები, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობენ ამ მუშაობაში.

შრომის მაღალი ნაყოფიერების საუცხოო ნიმუშებს გვიჩვენებენ სოფ. ცაიშის კოლმეურნეობა „ცაცხვის" წევრები; მათ 6 დღეში 1.347 კუბ. მეტრის მოცულობის მიწის სამუშაო შეასრულეს, რისთვისაც გეგმით 10 დღე იყო გათვალისწინებული. საუკეთესოდ მუშაობენ სოფელ ანაკლიის ლენინის სახელობის, სოფელ კოკის ვოროშილოვის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობათა წევრები.

მშენებლობაზე კოლმეურნეები სისტემატურად უშვებენ კედლის გაზეთებს. აქვე მუშაობს რაიონული გაზეთის „მებრძოლის" გამსვლელი რედაქცია.

დასვენების დროს თვითშემოქმედების საღამოები იმართება მეჩონგურეთა ანსამბლის მონაწილეობით.

თამბაქოს მოსავლის აღება კოლმეურნეობებში

საქმიწსახკომის 25 სექტემბრის ცნობებით

რაიონები	თამბაქოს შეტანის გეგმა [illegible]	შეტანილია [illegible]	გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	78.000.000	41.932.221	53,8
აჭარის ასსრ	5.990.000	7.214.000	120,4
ზუგდიდი	780.000	695.000	89,1
ჩოხატაური	1.000.000	685.000	68,5
გურჯაანი	536.000	437.144	81,6
სიღნაღი	4.955.000	3.847.750	77,7
წითელწყაროს	934.000.000	613.621	65,7
ყვარელი	2.670.000	2.094.710	78,5
ლაგოდეხი	21.900.000	16.030.200	73,2
ბორჩალო	17.300.000	15.278.408	88,3
ლუქსემბურგი	3.935.000	3.648.159	92,7
სულ რესპუბლიკაში	**138.000.000**	**92.476.222**	**67**
1939 წ. 25/IX იყო	118.461.000	117.196.729	98,9

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის

მეორე სამკერვალო ფაბრიკამ უკეთესი ხარისხის პროდუქცია უნდა მოგვცეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ცნობილ ბრძანებულებათა გამოქვეყნების შემდეგ თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკამ შესამჩნევად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. უკანასკნელ დღეებში იშვიათია შემთხვევა, რომ ფაბრიკამ გამოუშვას წუნდებული პროდუქცია. გაუმჯობესდა ქსოვილების გამოჭრისა და შეკერვის ხარისხი.

მაგრამ ამავე დროს ისევ ხშირია შემთხვევები, როცა წუნდებლები საამქროებსა და აგრეგატებს უკანვე უბრუნებენ გადასაკეთებლად შეკერილ ტანსაცმელს წვრილმანი დეფექტების გამო. ეს ხდება იმიტომ, რომ საამქროებსა და აგრეგატებზე მომუშავეებს არ აქვთ პირობები იმისთვის, რომ ტანსაცმლის გამოჭრილი ნაწილები სწორად შეარჩიონ. აქ საჭიროა განათების პირობების გაუმჯობესება, რათა მკერავი არ შეცდეს და ნაჭრები არ აირიოს. გარდა ამისა საჭიროა ფაბრიკაში მოწესრიგდეს წარმოებაში გასაშვები ქსოვილის წინასწარი შემოწმება. ზოგჯერ წარმოებაში გადადის დეფექტიანი ქსოვილი და შემდეგ ეს დეფექტი მზა ტანსაცმელს აჩნია.

21 ივლისს, მაგალითად, ფაბრიკის ტექნიკური დირექტორის კაბინეტს ამშვენებდა წუნდებლების მიერ უკანვე, გადასაკეთებლად დაბრუნებული სხვადასხვა ნაჭრებისაგან შეკერილი პალტოები, ჟაკეტები, პიჯაკები. განათების საკითხის და წარმოებაში გასაშვები ქსოვილების წინასწარ შემოწმების მოწესრიგების შემდეგ ასეთი პროდუქციის გამოშვება აღკვეთილი იქნება.

პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წუნდებლების მუშაობას. ფაბრიკაში ამჟამად მუშაობს 23 წუნდებელი. ფაბრიკის ტექნიკური დირექტორის ამხ. ჩადრანოვის განცხადებით ყველანი საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას. საჭიროა დაუყოვნებლივ მოეწყოს კურსები წუნდებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

საჭიროა დაუყოვნებლივ მოწესრიგდეს კიდევ ერთი საკითხი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე სამკერვალო ფაბრიკის და მის მახლობლად მდებარე სხვა საწარმოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქმე ის არის, რომ ამ ფაბრიკაში მეორე ცვლა მუშაობას ამთავრებს ნაშუაღამევის 1 საათისათვის. ამ დროს ქალაქში უკვე წყდება ტრამვაის მოძრაობა და მუშები ხშირად იძულებულნი არიან ფეხით წავიდნენ სახლში. ფაბრიკაში მომუშავეთაგან 46 კაცი ცხოვრობს ღრმაღელეში. ისინი იძულებული ხდებიან ღამის 1 საათზე ფეხით წავიდნენ ამ სიშორეზე და რამდენიმე საათი გზას მოანდომონ. გასაგებია, რომ სიარულით დაღლილი მუშა, რომელმაც ხეირიანად გამოძინება ვერ მოასწრო, მეორე დღის ნაყოფიერად ველარ იმუშავებს.

საჭიროა ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის დირექციამ დახმარება აღმოუჩინოს ორთაჭალის საწარმოებს და ღამით ამ ხაზზე დანიშნოს მუშათა ერთი მატარებელი.

ტექნიკური კონტროლის შემდგომი გაძლიერება, წუნდებლების კვალიფიკაციის ამაღლება მათთვის კურსების მოწყობით, ტრამვაის დირექციის დახმარება ღამით მუშათა მატარებლის გამოშვებით, ფაბრიკის საამქროებში განათების საკითხის რაციონალურად მოწესრიგება, რათა მკერავებმა ადვილად გაარჩიონ სხვადასხვა ფერის ქსოვილთა ნაჭრები, — არის ის ღონისძიებები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს და მაშინ მეორე სამკერვალო ფაბრიკა მოგვცემს კიდევ უფრო უკეთესი ხარისხის მზა პროდუქციას.

დ. ამირანიძე.

გლუხოველთა მოწოდებას საქმით გამოეხმაურნენ

გლუხოვის ბამბეულის კომბინატის მუშაკთა მიმართვამ, სამრეწველო საწარმოებთან ბოსტნეულისა და სარძეო დამხმარე მეურნეობების მოწყობის შესახებ, ფართო გამოხმაურება ჰპოვა სამტრედიის რაიონის საწარმოებში.

საკონსერვო კომბინატის კოლექტივმა გულდასმით განიხილა გლუხოველთა მოწოდება. გადაწყდა, რომ უახლოეს დროში სარძეო ფერმისათვის შეძენილ იქნას 2 კარგი ჯიშის ძროხა და ხუთი დედა-ღორი. აგრეთვე გამოყოფილ იქნას 3 ჰექტარი ფართობი, სადაც მოეწყობა სასათბურო მეურნეობა, რომელშიც მოიყვანენ საადრეო ბოსტნეულს.

ბოსტნეულისა და სარძეო დამხმარე მეურნეობის მოწყობისათვის კომბინატის დირექციამ გაიღო 10.000 მანეთი.

მ. გერაძე

ი. ე. რეპინის გარდაცვალების 10 წლისთავი

მონოგრაფია დიდი რუსი მხატვრის შესახებ

ხელოვნების მუზეუმმა „მეტეხმა" გამოსაცემად დაამზადა მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ამხ. მ. დუდუჩავას მონოგრაფია დიდი რუსი მხატვრის ი. ე. რეპინის შესახებ, რომლის გარდაცვალების 10 წლისთავი 29 სექტემბერს სრულდება.

მონოგრაფიის ერთი თავი დათმობილი აქვს ი. ე. რეპინის ყოფნას საქართველოში და მის ურთიერთობას ქართველ მხატვრებთან.

მონოგრაფიაში პირველად გამოქვეყნდება ი. ე. რეპინის წერილი ქართველი მხატვრის გ. გაბაშვილისადმი. ეს წერილი აღმოჩენილია გ. გაბაშვილის პირად არქივში (საქდესი).

ი. ე. რეპინის სურათები თბილისში

ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის" ფონდებში ინახება დიდი რუსი მხატვრის ი. ე. რეპინის სამი სურათი.

მუზეუმმა თბილისში შეიძინა ი. ე. რეპინის სურათი „მოხუცის თავი".

ლენინგრადის რუსულმა მუზეუმმა ხელოვნების მუზეუმს „მეტეხს" გადასცა სურათი „ბურლაკები ვოლგაზე", რომელიც ი. ე. რეპინის შესანიშნავი სურათის „ბურლაკების" ვარიანტს წარმოადგენს. ვარიანტი შესრულებულია 1918 წელს „პენატებში".

„მეტეხში" არის აგრეთვე ერთერთი პორტრეტული ეტიუდი სურათისა „სახელმწიფო საბჭოს სხდომა", რომლითაც ი. ე. რეპინმა საშინელი და გამანადგურებელი დახასიათება მისცა თვითმპყრობელობას. (საქდესი).

ი. ე. რეპინის ხსოვნის საღამო

30 სექტემბერს ი. ე. რეპინის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი სამხატვრო გალერეაში აწყობს საღამოს, რომელიც მიეძღვნება დიდი რუსი მხატვრის შემოქმედებას.

საღამოზე ხელოვნებათმცოდნე ამხ. მ. დუდუჩავა მოხსენებას გააკეთებს ი. ე. რეპინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ი. ე. რეპინის მოწაფე, ორდენოსანი პროფესორი მ. ი. თოიძე გამოვა მოგონებით თავისი დიდი მასწავლებლის შესახებ.

სამხატვრო გალერეაში გაიხსნება ი. ე. რეპინის ნაწარმოებების რეპროდუქციათა გამოფენა (საქდესი).

საშემოდგომო თესვა კოლმეურნეობებში

სახმიწსახკომის 25 სექტემბრის ცნობებით

რაიონები	თესვის გეგმა ჰექტარობით	დათესილია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით
სამტრედია	300	—	—
ჭიათურა	1.130	—	—
საჩხერე	1.185	306	12,2
ონი	2.050	329	16
ამბროლაური	2.660	353	13,3
ცაგერი	2.700	2.046	75,8
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	10.850	31	0,3
ახალქალაქი	6.700	170	2,5
ახალციხე	5.200	418	7,8
ადიგენი	2.800	7	0,3
ასპინძა	3.200	808	25,3
ხაშური	6.100	—	—
ქარელი	9.500	366	3,9
გორი	14.700	1.450	9,9
კასპი	6.900	202	2,9
ბორჯომი	425	8	1,9
დუშეთი	5.200	1.210	23,3
ალბულაღი	13.100	873	6,7
თიანეთი	3.800	999	26,3
გურჯაანი	15.200	226	1,5
სიღნაღი	17.600	103	0,6
წითელწყარო	17.700	250	1,4
თელავი	14.100	10	0,1
ყვარელი	8.700	6	0,1
ლაგოდეხი	9.700	—	—
თბილისი	9.500	22	0,2
ყარაია	3.700	—	—
მცხეთა	5.000	—	—
ბორჩალო	13.000	106	0,8
ლუქსემბურგი	7.700	5	0,1
საგარეჯო	11.600	633	5,5
ბაშკიჩეთი	5.300	1.100	20,8
სულ რესპუბლიკაში	238.000	12.077	5,1
1939 წ. 25/IX იყო	262.925	9.182	3,5

მზრალად ხვნა კოლმეურნეობებში

საქმიწსახკომის 25 სექტემბრის ცნობებით

რაიონები	გეგმა ჰექტარობით	მოხნულია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	5.000	—	—
აბაშა	1.200	—	—
ცხაკაია	1.000	—	—
გეგეჭკორი	2.800	—	—
ზუგდიდი	700	—	—
ხობი	250	—	—
წალენჯიხა	200	—	—
ჩხოროწყუ	200	—	—
ქუთაისი	2.800	32	1,1
წყალტუბო	2.000	34	1,7
სამტრედია	1.600	113	7,1
წულუკიძე	1.000	—	—
ვანი	1.700	—	—
მაიაკოვსკი	800	—	—
ზესტაფონი	1.200	—	—
ჩხარი	2.000	17	0,9
ჭიათურა	1.250	78	6,2
საჩხერე	1.500	37	2,4
ტყიბული	430	—	—
ონი	50	—	—
ამბროლაური	300	28	9,3
ცაგერი	300	212	70,7
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	6.200	3.918	63,2
ახალქალაქი	19.000	6.090	32,1
ბოგდანოვკა	7.800	1.811	23,2
ახალციხე	7.800	4.843	62,1
ადიგენი	3.000	2.351	78,4
ასპინძა	3.500	2.580	73,7
ხაშური	6.900	5.318	77,1
ქარელი	9.000	4.801	53,3
გორი	7.720	1.545	20
კასპი	4.300	1.193	27,7
ბორჯომი	1.000	170	17
წალკა	7.500	2.469	32,9
დუშეთი	2.000	136	6,8
ალბულაღი	3.000	1.268	42,3
თიანეთი	800	—	—
გურჯაანი	4.000	820	20,5
სიღნაღი	7.700	1.448	18,8
წითელწყარო	6.800	1.020	15
თელავი	3.500	180	5,1
ყვარელი	2.000	135	6,7
ლაგოდეხი	5.000	759	15,2
თბილისი	2.500	474	19
მცხეთა	2.500	94	3,8
ყარაია	1.800	558	31
ბორჩალო	3.300	53	1,6
ლუქსემბურგი	3.300	84	2,5
საგარეჯო	6.500	929	14,3
ბაშკიჩეთი	3.300	170	5,1
სულ რესპუბლიკაში	170.000	45.768	26,9
1939 წ. 25/IX იყო	160.000	38.792	24,2

ინგლისის პრესა ლონდონის მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 26 სექტემბერი (საქდესი). გაზეთი „ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტი თავის სტატიაში აღწერს საჰაერო თავდასხმების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ აღმოსავლეთ ლონდონის მცხოვრებთა მდგომარეობას. მას შემდეგ, რაც ქალაქის ამ ნაწილში პირველი ყუმბარა ჩამოვარდა, — სწერს ავტორი, — სამმა კვირამ განვლო. აქ დღემდე ბევრია უსახლკარო, ნახევრადმშიერი ადამიანები, რომლებიც მოკლებული არიან არსებობის ყოველგვარ საშუალებას. „თუ გამოელაპარაკებით შედარებით მეტად დაზარალებული რაიონების ქუჩებში დარჩენილ რომელიმე ადამიანს, შემაძრწუნებელ ამბავს მოისმენთ, ნახავთ ჭუჭყსა და სიღარიბეს. მთავრობას რომ ემოქმედნა, შეიძლებოდა ეცდილებინა ამ ხალხისათვის გაჭირვება".

კორესპონდენტი მკაცრად აკრიტიკებს დაზარალებულთა დასახმარებლად მთავრობის მიერ მოწყობილ ორგანიზაციათა მუშაობას, რომელიც მას სასაცილოდ მიაჩნია ხალხის მიერ გადატანილ უბედურებასთან შედარებით. კორესპონდენტი სწერს, რომ ადამიანებს აიძულებენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან იარონ დახმარების სათხოვნელად ნაცვლად იმისა, რომ უთხოვნელად უწევდნენ დახმარებას. ვისაც ბომბარდირებით დაინგრა სახლი, ვინც ქუჩაში დარჩა და ყველაფერი დაჰკარგა, იძულებულია გამუდმებით იდგეს რიგში ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობასთან და დახმარებას ელოდოს. „ადამიანი ვერ წარმოიდგენს, თუ რა სიღარიბეს განიცდის ის ხალხი, რომელიც უმწეო მდგომარეობაშია ჩაყენებული".

„დეილი მეილის" სპეციალური კორესპონდენტი აღწერს ლონდონის სამხრეთ ნაწილის მეტროს გვირაბს, რომელსაც აქ თავშესაფრად იყენებენ. იმის მიუხედავად, რომ ამ გვირაბს 14 ათასი ადამიანი აფარებს თავს, ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინა პირობები, რომელშიაც ეს ხალხი იმყოფება. გვირაბში საძაგელი ვენტილაციაა, ნახევრად ბნელა. თავშეფარებულნი პირდაპირ ლიანდაგზე და ქვის პლატფორმებზე აგებენ ლოგინს და იძინებენ. რაიმე სანიტარულ პირობებზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ახალი საიდუმლო ყუმბარა ინგლისში

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საქდესი). გაზეთ „დეილი მირორის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი პირსონი სწერს, რომ, სამხედრო სპეციალისტების ცნობით, ინგლისი საზენიტო ქვემეხებისათვის ახალ საიდუმლო ყუმბარას ხმარობს. ეს ყუმბარა სფერულისამებრ ამორჩეულ სიმაღლეზე სკდება; იგი ახალი ტიპის ისეთივე სიმკვრივის გაზს უშვებს, როგორიც აქვს ჰაერს. თვითმფრინავს, რომელიც გაზის ამ მასაში გაივლის, ცეცხლი უჩნდება, რაც მის აფეთქებასა და დაღუპვას იწვევს.

მდგომარეობა ახალ კალედონიაში

ლიონი, 27 სექტემბერი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, ახალი კალედონიის კუნძულზე (საფრანგეთის კოლონია) უკვე რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგნენ გენერალ დე გოლის მომხრეები. ნუმეაში (ახალი კალედონია) წესრიგის აღსადგენად საფრანგეთის საკანონერო ნავი გაიგზავნა. ინგლისის მთავრობამ იქითკენ გაგზავნა კრეისერი. კრეისერმა ღუზა ჩაუშვა საფრანგეთის საკანონერო ნავის მახლობლად, რომელსაც სამი ქვემეხი აქვს. ინგლისის კრეისერს რვა ზარბაზანი აქვს; მისი წყალწყვა ერთისამად აღემატება საფრანგეთის საკანონერო ნავის წყალწყვას.

რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

ბერლინი, 27 სექტემბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ „ის ელემენტები, რომლებიც ლეგიონს არ ეკუთვნიან, მაგრამ ლეგიონერთა მწვანე ხალათები აცვიათ და ისეთ რამეს სჩადიან, რაც სახელს უტეხს ლეგიონერებს, ძირს უთხრიან რუმინეთის მთავრობის საქმიანობას. სამინისტრო მოუწოდებს რუმინეთის მოსახლეობას დაუყოვნებლივ აცნობოს ხელისუფალთ ამგვარი ფაქტების შესახებ".

შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ განცხადების საბაბი იყო რუმინეთის რადიოს დირექციაში მომხდარი შემთხვევა. რუმინეთის რადიოს დირექციაში, პირდაპირ დირექტორის — ყოფილ მინისტრ კრაინიკის კაბინეტში შევიდა ლეგიონის ფორმით გამოწყობილი რევოლვერებით შეიარაღებული 7 კაცი და საყვედური უთხრა დირექტორს იმის გამო, რომ მან სამუშაო მისცა მთელ რიგ პირებს. შემდეგ მათ რადიოდირექციის ყველა ოთახი მოიარეს და თან წაიყვანეს რუმინეთის რადიოს დირექციის სამი ხელმძღვანელი მუშაკი.

ბულგარეთის ხელისუფალთა ღონისძიებანი სამხრეთ-დობრუჯაში

სოფია, 27 სექტემბერი (საქდესი). სამხრეთ-დობრუჯაში ჩასულმა მინისტრებმა ოლქში საინსპექციო მოგზაურობის შემდეგ საინსტრუქციო თათბირები მოაწყეს მათდამი დაქვემდებარებულ უწყებათა მუშაკებთან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამხრეთ-დობრუჯის საბოლოო ადმინისტრაციული დაყოფა დააწესა, ამასთან პირვანდელ გეგმებში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება. შრომითი რაზმები მოსავლის აღებას იწყებენ. მიწათმოქმედების მინისტრმა ბაგრიანოვმა სოფიის გაზეთების კორესპონდენტს აცნობა, რომ მზესუმზირას ნათესი უკვე დიდი ხანია გადამწიფებულია. სამხრეთ-დობრუჯის რაიონებში სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერა დაიწყო. სასწავლო წლის დაწყება სკოლებში განზრახულია არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

ოლქის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში საქონლისა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობაა. ახალი ფასების დაწესებასთან დაკავშირებით, ტუტრაკანში ფართო მოხმარების საქონლის გაყიდვა შეწყდა. ზოგიერთი პროდუქციის ნაკლებობის გამო, ტუტრაკანში შემოღებულია პროდუქტების გაყიდვის ნორმირება. გაზეთ „ვარნენსკი ნოვინის" კორესპონდენტის ცნობით, ქალაქ ბალჩიკში მარილის, ბრინჯის, შაქრის, კარაქისა და ასანთის დიდი ნაკლებობაა. იმავე ცნობებით, დობრიჩში საბინაო კრიზისია. ამასთან დაკავშირებით, იქ შექმნილია საბინაო ბიურო, რომელიც საცხოვრებელი ფართობის განაწილებას განაგებს.

დღეს დილის 9 საათზე რუმინეთის ჯარმა სამხრეთ-დობრუჯის მე-3 ზონის განთავისუფლება დაიწყო.

უკანასკნელი ცნობები

ჰელის განცხადება

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა კომენტარი გაუკეთა იაპონია-იტალია-გერმანიის პაქტის დადებას და შემდეგი განაცხადა:

„ზემოაღნიშნული კავშირი, რომელიც დადებულია იაპონიასა, იტალიასა და გერმანიას შორის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვალსაზრისით, მკვეთრად არა სცვლის იმ მდგომარეობას, რომელიც უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში არსებობდა. ზემოაღნიშნული შეთანხმება მხოლოდ უფრო ნათელს ხდის ყველასათვის იმ ურთიერთობას, რაც დიდი ხნის განმავლობაში ნამდვილად არსებობდა და რაზედაც ამერიკის მთავრობას არაერთხელ მიუქცევია ყურადღება. ასეთი შეთანხმება რომ დადების სტადიაში იყო, ეს ერთი ხანია, ვიცოდით და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ეს ფაქტი სავსებით მიიღო მხედველობაში თავისი პოლიტიკის განსაზღვრის დროს".

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 28 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის სარდლობა იუწყება, რომ გუშინ გერმანიის ავიაცია განაგრძობდა სასტიკ თავდასხმას, უმთავრესად, ლონდონისა და სამხრეთ ინგლისის სანავსადგურო ნაგებობებზე, დოკებზე, ქარხნებზე, გაზის ქარხნებსა და ელექტროსადგურებზე. გარდა ამისა, ავიაცია თავს დაესხა მტრის სამხედრო ბანაკებს. განსაკუთრებით ძლიერი ბომბარდირება განიცადეს ლონდონისა და ბრისტოლის ნავსადგურებმა. ყველგან დაინახავდით მრავალ ძლიერ აფეთქებას, რასაც ხანძარი მოსდევდა.

ცენტრალურ ინგლისში ბომბარდირების შედეგად მნიშვნელოვანი ნგრევა მოხდა სამხედრო ქარხნებში.

გერმანიის შორსმსროლელმა ბატარეებმა ხელახლა დაუშინეს ყუმბარა დუვრის ნავსადგურს; დაზიანებულია მტრის სამი სავაჭრო გემი, რომლებიც ნავსადგურში იდგნენ. ორი გემი ჩაძირულია.

ირლანდიის ჩრდილოეთით გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს გემთა ქარავანზე, რომელსაც ძლიერი ბადრაგი ჰყავდა. ჩაძირულია სავაჭრო გემი 5.000 ტონა წყალწყვისა.

წუხელ მტრის რამდენიმე ერთეულმა თვითმფრინავმა ალალბედზე ჩამოჰყარა ყუმბარები გერმანიის დასავლეთ საზღვრის რაიონში. ყუმბარები ტრიალ მინდორში დაეცა და არავითარი ზარალი არ გამოუწვევია.

27 სექტემბერს, დღისით, მრავალი საჰაერო ბრძოლა მოხდა, რის დროსაც ჩამოგდებულია ინგლისის 101 თვითმფრინავი. გერმანიის 38 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 27 სექტემბერი (საქდესი). როგორც ავიაციის სამინისტრო იუწყება, 25 სექტემბერს ინგლისის ავიაციის მძიმე ყუმბარმშენებმა მთელი რიგი იერიშები მიიტანეს ბერლინის ირგვლივ მდებარე ფრიად მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებზე. ერთი საათის განმავლობაში ოთხი თავდასხმა მოეწყო ელექტროსადგურზე კლინგენბერგში — სამრეწველო რაიონის ცენტრში, გერმანიის დედაქალაქის აღმოსავლეთით. საწარმოო სიმძლავრე ნავსადგურისა, რომელიც დენს აწვდის ბერლინის უდიდეს სამრეწველო კონცერნებს, 300 ათას კილოვატს უდრის. ამ სადგურში ჩამოგდებული მძიმე ყუმბარების აფეთქებამ დიდი ხანძარი გამოიწვია. დასავლეთის ელექტროსადგურმა, ორ მილზე ტეგელერზეეს ტბის სამხრეთით, რომელიც წინა თავდასხმების დროს დაზიანდა, კვლავ განიცადა ბომბარდირება, რის შედეგად იქაც დიდი ხანძარი გაჩნდა. ჩვენმა ავიაციამ ფუგასური ყუმბარები დააყარა რკინიგზის სადგურს შენებურგში, სამ მილზე ბერლინის სამხრეთით, აგრეთვე მნიშვნელოვან რკინიგზის კვანძს შარლოტენბურგის მახლობლად. ბერლინზე იერიშების დროს ჩამოგდებულია მრავალი ყუმბარა ბერლინის უდიდესი აეროდრომის ტემპელჰოფის ჩრდილოეთ ნაწილში. ბომბარდირება განიცადა საომარი მასალის ქარხანამაც რიუდერსდორფში—17 მილზე ბერლინის აღმოსავლეთით. ბომბარდირების შედეგად ქარხანაში ხანძარი გაჩნდა.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 28 სექტემბერი (საქდესი). სტეფანის სააგენტომ გამოაქვეყნა იტალიის სარდლობის შემდეგი ცნობა:

იტალიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მალტას, სადაც ყუმბარა დაუშინეს მიკაბისა და ჰალფარის აეროდრომებს. როგორც სჩანს, ჩამოგდებულია მტრის ორი თვითმფრინავი.

ჩრდილოეთ აფრიკაში მტრის ავიაცია თავს დაესხა გარნ ელ გრეინსა და ჯარაბუბს (ლიბია). მოკლულია ორი კაცი, დაჭრილია ხუთი. ჩამოგდებულია მტრის ორი თვითმფრინავი. ჩამოგდებულია ალბათ სამი სხვა თვითმფრინავიც.

აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის ჯარის მოტომექანიზებული რაზმები ამაოდ ცდილობდნენ თავს დასხმოდნენ კასალის ზონას.

ლამპედუზის კუნძულზე იძულებით დაშვების დროს დაიმსხვრა ინგლისის ერთი თვითმფრინავი. თვითმფრინავის ეკიპაჟი დატყვევებულია.

ლონდონის ბომბარდირების გაძლიერება

ბერლინი, 28 სექტემბერი (საქდესი). ნეიტრალურ მეთვალყურეთა ცნობების თანახმად, სწერს ბიულეტენი „დინსტაუს დოიჩლანდი", 25 სექტემბერს ინგლისის დედაქალაქმა ყველა წინა ღამეზე უფრო საშინელი ღამე განიცადა. ცნობებში ნათქვამია, რომ ლონდონში არაჩვეულებრივი დიდი ნგრევა მოხდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გერმანიის მოქმედება ახალ ფაზაში შედის. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ გერმანიის საჰაერო ტორპედების არაჩვეულებრივ ძლიერ მოქმედებას. რომელთა შესახებ ნათქვამია, სწორედ მათ გამოიწვიეს უმაგალითო ნგრევაო. გერმანიის საჰაერო ძალების მოქმედების გაძლიერებას ის ადასტურებს, რომ ლონდონში დიდძალ მძიმე ყალიბის ყუმბარას ჰყრიან, ლაპარაკია 1800 კილოგრამიან ყუმბარებზე. ნეიტრალური გაზეთების ცნობებით გუშინღამ ლონდონში მომხდარი დიდი ნგრევის შესახებ გამოწვეულია ამ ყუმბარების მოქმედებით.

საჰაერო ბრძოლა ინგლისში

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა ავიაციის სამინისტროს შემდეგი კომუნიკე: „გუშინ, დღისით, ინგლისის ავიაციამ ინგლისის სამხრეთ ნაწილში მოიგერია გერმანიის თვითმფრინავების რამდენიმე იერიში და მძიმე ზარალი მიაყენა მათ, მეტადრე ლონდონის რაიონში. 27 სექტემბერს, დილით, გერმანიის თვითმფრინავები ორჯერ შეეცადნენ ლონდონზე თავდასხმას. მესამეჯერ მათ თავდასხმა ნაშუადღევს მოაწყეს. რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარეს ლონდონის ცენტრალურ ნაწილში. დიდძალი ყუმბარა ჩამოჰყარეს ქალაქის სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთ რაიონებში. ყუმბარებმა ცოტაოდენ დააზიანეს შენობები. ლონდონის სამხრეთ ნაწილში დაზიანებულია სამრეწველო საწარმო, რის შედეგად არიან მოკლულნი და დაჭრილნი. 15 საათსა და 30 წუთზე მიღებული ცნობებით, ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა 27 სექტემბერს მოსპეს მტრის 98 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 25 ავიაგამანადგურებელი. ამ თვითმფრინავთა ეკიპაჟის 10 მფრინავი გადარჩა".

სააგენტო იუწყება, რომ ლონდონის სამხედრო მრეწველობა გუშინ თითქმის შეუფერხებლად მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ყუმბარმშენთა დიდი რაზმები, რომელთაც კიდევ უფრო მეტი ავიაგამანადგურებლები ახლდნენ, არაერთხელ შეეცადნენ თავდაცვის ხაზის გარღვევას. ლონდონის საზენიტო არტილერიამ დღემდე არნახული ძალის ცეცხლის ფარდა შექმნა.

არტილერიამ დუვრს დაუშინა

ლონდონი, 27 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს, 12 საათსა და 30 წუთზე (გრინვიჩის დროით), გერმანიის არტილერიამ, რომელიც დადგმულია საფრანგეთის სანაპიროზე, დაუშინა დუვრს. იმის შემდეგ, რაც ინგლისის შორსმსროლელმა ქვემეხებმა გერმანიის არტილერიის ცეცხლს პასუხი გასცეს, მოკლე ხნის სიწყნარე ჩამოვარდა. იგი 30 წუთს გაგრძელდა, რის შემდეგ გერმანიის არტილერიამ უფრო ინტენსიურად დაუშინა ინგლისის სანაპიროს. დაშენას არავითარი მატერიალური ზარალი არ გამოუწვევია. მსხვერპლი არ ყოფილა.

უცხოელთა დაპატიმრება რუმინეთში

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის ბუქარესტელი კორესპონდენტი იუწყება, რუმინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააპატიმრეს ამერიკელი ინჟინერი და ორი ინგლისელი მოსამსახურე, რომლებიც ნავთის ფირმა „რომინა ამერიკანოში" მუშაობდნენ. ამერიკის დიპლომატიურმა მისიამ დღემდე არ იცის, თუ რა ხასიათის ბრალდება აქვთ წაყენებული დაპატიმრებულთ.

ი. ე. რეპინი

(გარდაცვალებიდან 10 წლის თავის გამო)

ათი წლის წინათ — 1930 წლის 29 სექტემბერს გარდაიცვალა რუსეთის გენიალური მხატვარი, უდიდესი რეალისტი, 70-80-იანი წლების მოწინავე რევოლუციური იდეების დიდი აგიტატორი, რეალისტური და ნაციონალური მიმდინარეობის დამმკვიდრებელი რუსულ სახვით ხელოვნებაში—ილია რეპინი.

რეპინი დაიბადა 1844 წლის 24 ივლისს. პირველი „მხატვრული განათლება" მან მიიღო ქ. ჩუგუევში. 1864 წ. რეპინი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის თავისუფალი მსმენელი და შემდეგ მოსწავლე ხდება.

ეს ის დრო იყო, როდესაც აკადემიის კარჩაკეტილობა უკვე დარღვეული იყო ცნობილი „13-ის აჯანყებით", ხოლო პეტერბურგში ორი მხატვრული მიმდინარეობა არსებობდა: ერთი — აკადემიისა, სადაც კლასიკური ხელოვნების „მარადიული პრინციპები" და ნორმატული კანონები ბატონობდა, ხოლო მეორე — აკადემიზმისაგან გამდგარი ახალგაზრდობისა ი. კრამსკოის მეთაურობით, რომელიც მშობლიური ცხოვრებით დაინტერესებული, რეალისტური ხელოვნების მედროშე იყო. რეპინის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ამ ორი მოწინააღმდეგე მიმდინარეობის გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა. მასთან რეპინი ეცნობოდა ეპოქის მებრძოლ იდეებს, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენდნენ მასზე.

რეპინის შემოქმედებითი გზა პირველად ძირითადად აკადემიზმს მიჰყვებოდა. შემდეგ იგი თანდათან სცილდება მას და მთლიანად რეალიზმით იმსჭვალება. გარდატეხის ეს პროცესი ასახულია აკადემიაში შესრულებულ ნაწარმოებში—„იობი და მისი მეგობრები", რისთვისაც მხატვარი დაჯილდოებულ იქნა ოქროს მეორე მედალით და საკონკურსო სურათში — „იაიროსის ქალიშვილის მკვდრეთით აღდგენა", რომელმაც ავტორს ოქროს პირველი მედალი მოუპოვა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში რეპინის შემოქმედებაში აღმავლობისა და დიდი ოსტატობის ხანა დაიწყო, რომლის მწვერვალს წარმოადგენდა „ბურლაკები ვოლგაზე". ის იყო პირველი „ღრმად შემაძრწუნებელი სურათი, ამოღებული რუსი ხალხის ცხოვრებიდან" (ვ. სტასოვი). ტილოზე ამეტყველებულია ფერები, რომლებიც ღრმა რეალისტური უშუალობით გადმოგვცემენ მაშინდელი რუსეთის უკულმართ სინამდვილეს, და გვიძრავენ ღრმა სიმპატიას სურათის პერსონაჟების მიმართ.

1873 წელს რეპინი მიემგზავრება საზღვარგარეთ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ის ჰქმნის ცნობილ „პროტოდიაკონს". მასში ხელოვანს დიდი რეალისტური ოსტატობით აქვს გადმოცემული განზოგადოებულ ფორმაში სასულიერო წოდების სოციალური ბუნება.

1881-1883 წლებში რეპინი სწერს სურათს „ლიტანია კურსკის გუბერნიაში". მისი სიუჟეტი — რელიგიური პროცესია — სურათში გამოყენებულია როგორც მასალა, რომლის საფუძველზე ამ თემასთან ტრადიციულად დაკავშირებული განცდების მაგივრად, ნაჩვენებია 80-იანი წლების რუსეთის სოფლის ცხოვრების რეალური სახე, სოფლის თვითეული ფენის, თვითეული კლასის ნამდვილი სოციალური პროფილი. უაღრესი სიმპატიით არიან განსახიერებული ღარიბი გლეხების ტიპები, რომელთა წარმომადგენელს პროცესიაზე ხატის მაგივრად ხატის ბუდე მიაქვს.

მხატვრის შემოქმედების შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა რუსეთის რევოლუციური ინტელიგენციის ტრაგიკული ბედის ამსახველი სურათი „არ ელოდნენ" (1884 წ.). ამ ნაწარმოების სიუჟეტი გადმოგვცემს რევოლუციონერი სტუდენტის კატორღიდან დაბრუნებას რამდენიმე წლით მიტოვებულ ოჯახში. მასში ნათლადაა ამეტყველებული ავტორის უაღრესად პროგრესიულ-რევოლუციური ტენდენცია და პერსონაჟების შინაგანი ფსიქიური განცდები.

1885 წლის იანვარში რეპინმა დაამთავრა ახალი სურათი „ივანე მრისხანე და მისი შვილი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს". მისი სიუჟეტი აგებულია იმ ისტორიულ ფაქტზე, რომელიც გადმოგვცემს, რომ 1581 წელს ივანე მეოთხემ (მრისხანემ), მოჰკლა თავისი უფროსი ვაჟი. ამ ისტორიული დრამიდან რეპინის ტილოზე განსახიერებულია ყურადღებისმომგვრელი სცენა: მეფე გულში იკრავს და ჰკოცნის მის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილ შვილს. ი. კრამსკოის თქმით — „ეს მხეცი მამა", რომელსაც ერთი წუთის წინ საშინელი რისხვა ამოქმედებდა, ახლა განუსაზღვრელი მწუხარებით შეპყრობილი, ბავშვივით ცახცახებს და ბორგავს თავისი მსხვერპლის წინ. ყველაფერი ეს კი უკიდურესი „მხატვრული ეკონომიით" და გამომსახველობითი სრულყოფითაა განსახიერებული ამ ტილოზე. აქ არ არის არცერთი დეტალი, რომელსაც რაიმე ასახვითი ფუნქცია არ გააჩნდეს ან ფერების ვირტუოზული ხელოვნებით არ იყოს ამეტყველებული.

თუ გავიხსენებთ იმ სოციალურ სიტუაციას, რომელშიც ეს სურათი შეიქმნა, კერძოდ 1881 წ. 1 მარტის მკვლელობასა და მის შემდეგ გაბატონებულ რეაქციას, მაშინ ნათლად დაგვეხატება ის პოლიტიკური განცდებიც, რომლებსაც ეხმაურებოდა ეს სურათი. გასაგებია ისიც თუ რად ამხედრდნენ რუსეთის რეაქციული წრეები ამ სურათის წინააღმდეგ. ისინი მასში მეფისადმი მტრულ განწყობილებას ხედავდნენ და ამაში არ სტყუოდნენ.

80-იანი წლების მეორე ნახევარში რეპინი პორტრეტულ შედევრებსაც ჰქმნის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. პისემსკის, ნ. პიროგოვის, მ. მუსორგსკის, ვ. გარშინის, ვ. სტასოვის, ლ. ტოლსტოის, ტრეტიაკოვის და სხვ. პორტრეტები, რომელთა რაოდენობა 300 აღემატება.

90-იანი წლების ულტეხილზე რეპინი ჰქმნის სურათს „ზაპოროჟელები სწერენ წერილს თურქეთის სულთანს".

მომდევნო წლებში რეპინი იდეურ კრიზისს განიცდის, მაგრამ 900-იანი წლების განთიადზე დიდი ხელოვანი ისევ რეალიზმს უბრუნდება. უკანასკნელი შედევრი, რომელიც შექმნა რეპინმა, ეს იყო ცნობილი პორტრეტული კომპოზიცია „სახელმწიფო საბჭოს საზეიმო სხდომა", რომელიც მარცხენა ხელით დახატა (მარჯვენა ხელი მხატვარს სიბერეში გაუხმა). ამ ნაწარმოებში რეპინი გვევლინება არა მარტო როგორც პორტრეტის გენიალური ოსტატი, არამედ როგორც გარკვეული უარყოფითი ტენდენციითაც განწყობილი მის მიერ განსახიერებული სახეების მიმართ.

ჩქარა რეპინი ფინეთში გადასახლდა, კუოკალას მახლობლად, სადაც მას საკუთარი აგარაკი ე. წ. „პენატი" ჰქონდა.

ამ პერიოდში რეპინი განიცდიდა იდეურ და მხატვრულ კრიზისს. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ წლებზე, როდესაც მხატვარს ძირითადად მხოლოდ თეთრგვარდიელები ერტყა გარს და ჭორებს უთხზავდნენ მის სამშობლოზე. მაგრამ მოშხამული გარემოცვით შეხუთული და „მარტოდ დარჩენილი" დიდი ხელოვანი, მაინც გრძნობდა საბჭოთა სამშობლოსადმი, მისი ხელოვნებისა და კულტურისადმი უდიდეს სიყვარულს. ამ გრძნობით ჩავიდა იგი სამარეში.

ი. რეპინი დასაფლავებულ იქნა „პენატში" — თავისსავე ეზოში.

წითელი არმიის კუოკალაში შესვლის დროს, თეთრმა ფინელებმა ვერ მოასწრეს მხატვრის სახლკარის და ნახატების განადგურება. ამჟამად ეს სახლი წარმოადგენს რეპინის მუზეუმს, რომელშიაც ლენინ-სტალინის ეპოქის ბედნიერი თაობა ითვისებს გენიოსი მხატვრის უმდიდრეს მემკვიდრეობას.

O

ი. რეპინი რუს ხელოვანთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდა ჩვენს ქვეყანასთან. მას რამდენჯერმე უმოგზაურნია „ფანტასტიურ კავკასიაში", კერძოდ საქართველოში. 1881 წელს მას შეუსრულებია ეტიუდი „ქუჩა თბილისში" (14×23. მუყაო), რომელიც ამჟამად დაცულია პსკოვის სურათების გალერეაში.

აღსანიშნავია მხატვრის 1896 წლის 12 დეკემბერს პეტერბურგში დაწერილი სტატია — „Нужна-ли школа искусства в Тифлисе?", რომელიც გაზეთ „Кавказ"-ის 1897 წლის 9 და 10 იანვრის ნომერში დაიბეჭდა. ამ სტატიაში დიდბუნებოვანი რუსი მხატვარი ამტკიცებს თბილისში ხელოვნების სკოლის დაარსების აუცილებლობას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც სამხრეთის ახალგაზრდობას ეღობებოდა წინ სამხატვრო განათლების გზაზე და სწერს: „...ჩემს თვალწინ გაიელვა მრავალმა ლამაზმა, გრაციულმა ფიგურამ ფერმკრთალი სახით, მოხდენილი პროფილით, გენიის ღრმა მელანქოლიით აღბეჭდილი შავი წარმტაცი თვალებით და ფანტასტიური სამშობლო-კავკასიის—მოგონებით გამოწვეული მწუხარებით.

რამდენი მათგანი დაჭკნა აქ და გამოესალმა სიცოცხლის ჭლექისაგან?!

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავისი ხასიათით ასეთი გასაოცარი ქვეყანა არ ბადებდეს მხატვრულ ძალებს. მე მრწამს, რომ კავკასიის მხატვრული ხანა წინ არის. ეს შესანიშნავი მშვენიერი ქვეყანა მოგვცემს მხატვრებს, რომლებიც ღირსეულად ასახავენ მას ხელოვნებაში".

„თბილისში", — დაასკვნიდა დიდი მხატვარი, — აუცილებელია დაარსდეს სამხატვრო ოაზისი. სათავეს მას დაუდებს ისეთი რაციონალური სკოლა-სტუდია, როგორიც არსებობდნენ იტალიაში მხატვრობის აყვავების დროს".

ასეთი იყო დიდი მხატვრის ღრმა რწმენა და სურვილი, რაც მხოლოდ ახლა, ლენინ-სტალინის დიად ეპოქაში განხორციელდა.

მ. დუდუჩავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიას, იტალიას და იაპონიას შორის პაქტის დადება

ბერლინი, 27 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს შემდეგს ცნობას:

„დღეს, 27 სექტემბერს ახალი იმპერიის კანცლერიის დიდ დარბაზში ხელმოწერილია სამი სახელმწიფოს — გერმანიის, იტალიისა და იაპონიის პაქტი. პაქტის ხელმოწერის შემდეგ გაიმართა საზეიმო დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ იტალიისა და იაპონიის საელჩოების წევრები, გერმანიის მთავრობის წევრები და გერმანიის სხვადასხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელები, გერმანიის შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლები, აგრეთვე უცხოეთის პრესის წარმომადგენლნი. პაქტს ხელი მოაწერეს გერმანიის მთავრობის სახელით—ფონ რიბენტროპმა, იტალიის მთავრობის სახელით — ჩიანომ, იაპონიის მთავრობის სახელით — იაპონიის ბერლინელმა ელჩმა კურუსუმ.

ბერლინში ხელმოწერილ სამი სახელმწიფოს პაქტში ნათქვამია: „გერმანიის, იტალიისა და იაპონიის მთავრობები სთვლიან, რომ ხანგრძლივი მშვიდობიანობის წანამძღვარია ის, რომ მსოფლიოს ყველა ერთვნებამ მისთვის აუცილებელი სივრცე მიიღოს. ამიტომ მათ გადასწყვიტეს დიდ აღმოსავლეთ აზიის სივრცეში და ევროპაში თავიანთ მისწრაფებათა განხორციელებისას ხელიხელ ჩაკიდებულებმა იმოქმედონ და ერთმანეთთან ითანამშრომლონ. ისინი თავიანთ უმთავრეს მიზნად სთვლიან — დაამყარონ და დაიცვან ახალი წესი, რომელიც უზრუნველჰყოფს ამ სივრცეებში მცხოვრებ ხალხთა წარმატებასა და კეთილდღეობას. შემდეგ სამი სახელმწიფოს მთავრობანი სურვილს გამოსთქვამენ განავრცონ ეს თანამშრომლობა მსოფლიოს სხვა ნაწილების იმ ერთვნებებზედაც, რომლებსაც სურთ ამავე მიმართულებით იმოქმედონ, რათა განახორციელონ თავიანთი საბოლოო მიზანი — მშვიდობიანობა მთელს მსოფლიოში.

ამის შესაბამისად, გერმანიის, იტალიისა და იაპონიის მთავრობები შეთანხმდნენ შემდეგზე:

„**მუხლი 1.** იაპონია სცნობს და პატივს სცემს გერმანიისა და იტალიის ხელმძღვანელობას ევროპაში ახალი წესრიგის შექმნაში.

მუხლი 2. გერმანია და იტალია სცნობენ და პატივს სცემენ იაპონიის ხელმძღვანელობას დიდ აღმოსავლეთ აზიის სივრცეზე ახალი წესრიგის შექმნაში.

მუხლი 3. გერმანია, იტალია და იაპონია თანახმანი არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან ზემოაღნიშნულ საფუძველზე. შემდეგ ისინი ვალდებულებას კისრულობენ ყველა პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო საშუალებით დაუჭირონ მხარი ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმების მონაწილე სამ მხარეთაგან ერთ-ერთს თავს დაესხმის რომელიმე სახელმწიფო, რომელიც ამჟამად მონაწილეობას არ იღებს ევროპის ომში და ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტში.

მუხლი 4. ამ პაქტის განხორციელებისათვის დაუყოვნებლივ იქნება მოწვეული საერთო ტექნიკური კომისია, რომლის წევრებსაც დანიშნავენ გერმანიის, იტალიისა და იაპონიის მთავრობები.

მუხლი 5. გერმანია, იტალია და იაპონია ირწმუნებიან, რომ ეს შეთანხმება არავითარ შემთხვევაში არ შეეხება იმ პოლიტიკურ სტატუსს, რომელიც ამჟამად არსებობს შეთანხმების სამივე მონაწილისა და საბჭოთა კავშირს შორის.

მუხლი 6. ეს პაქტი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და ძალაში დარჩება ხელმოწერიდან ათი წლის განმავლობაში. შეთანხმების მონაწილე მხარეები ამ ვადის დამთავრებამდე წინასწარვე დაიწყებენ მოლაპარაკებას პაქტის განახლების შესახებ. თუ რომელიმე მათგანი ამას განაცხადებს“.

გერმანულ, იტალიურ და იაპონურ ენაზე შედგენილი პაქტი დათარიღებულია 1940 წლის 27 სექტემბრით. პაქტს ხელს აწერენ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ რიბენტროპი, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ჩიანო და იაპონიის ელჩი — კურუსუ.

ჰიტლერმა მიიღო ჩიანო და კურუსუ

ბერლინი, 27 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ გერმანიის, იტალიისა და იაპონიის პაქტის ხელმოწერის შემდეგ ჰიტლერმა რიბენტროპის თანდასწრებით ახალ კანცლერიაში მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო და იაპონიის ბერლინელი ელჩი კურუსუ.

ინგლის-თურქეთის სავაჭრო მოლაპარაკება

სტამბოლი, 26 სექტემბერი (საქდესი). ანკარაში ინგლისისა და თურქეთის წარმომადგენლებს შორის წარმოებული მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება ინგლისისათვის წელს 12 მილიონი კილოგრამი თამბაქოს მიწოდების შესახებ. ინგლისმა თურქეთში შეისყიდა აგრეთვე 365 ათას თურქულ ლირად ღირებული 27 ტონა ოპიუმი. ამ მოლაპარაკების დროს გადაწყვეტილ იქნა ინგლისის მიერ თურქეთისათვის მიცემული კრედიტის რეალიზაციის საკითხი. არსებული შეთანხმებით, თურქეთმა მისთვის მიცემული კრედიტის თანხის 7 პროცენტი უშუალოდ ინგლისში უნდა გაანაღდოს, ხოლო 25 პროცენტი—ინგლისის კოლონიებსა და დომინიონებში. ამჟამად ინგლისმა თურქეთს თანხმობა მისცა იმაზე, რომ კრედიტის მთელი თანხის საქონელი ინდოეთში, ავსტრალიასა და კანადაში შეისყიდოს.

საფოსტო კავშირი ინგლისსა და თურქეთს შორის

სტამბოლი, 26 სექტემბერი (საქდესი). ხმელთაშუა ზღვაში საომარი მოქმედების დაწყებასთან დაკავშირებით, 10 ივნისიდან შესწყდა საფოსტო კავშირი ინგლისსა და თურქეთს შორის. ამჟამად ინგლისსა და თურქეთს შორის საფოსტო კავშირის ახალი მარშრუტი ეწყობა ბაღდადზე (ერაყი) გავლით. ფოსტა მოვა თვეში ორჯერ.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ იაპონია-ამერიკის ურთიერთობის შესახებ

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საქდესი). როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, იაპონიის არმიის ერთ-ერთმა უმაღლესი თანამდებობის ოფიცერმა, რომელიც შანხაიში იმყოფება, განაცხადა: „ამერიკის მიერ ჩინეთისათვის ახალი სესხის მიცემა და შეერთებული შტატების მიერ იაპონიაში ლითონის ჯართის გატანის ემბარგოს გამოცხადება ბოლოს უღებს მშვიდობიან ურთიერთობას შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის სწორედ ისევე, როგორც ინგლისისათვის ამერიკის 50 საესკადრო ნაღმოსნის გადაცემამ მოუღო ბოლო მშვიდობიან ურთიერთობას შეერთებულ შტატებსა და გერმანიას შორის“.

ეს აზრი შანხაიში მყოფი იაპონიის უმაღლესი სარდლობის პოზიციის მეტად ტიპიური გამოხატულებაა. იაპონელები უკვე აღარა ფიქრობენ შერიგებაზე და რეპრესიებისათვის ემზადებიან. შეერთებული შტატები საფრანგეთის ინდო-ჩინეთიდან ყველა მნიშვნელოვანი მასალის იმპორტის შეწყვეტას უნდა მოელოდნენ. თუ ინგლისმა კვლავ გახსნა ბირმა-ჩინეთის გზა, — სწერს გაზეთი, — იაპონელები სისტემატურად დაუწყებენ ბომბარდირებას ამ გზის იმ ნაწილს, რომელიც ჩინეთის ტერიტორიაზე გადის, რათა აღკვეთონ ჩინეთისათვის საომარი მასალის მიწოდება, აგრეთვე ხელი შეუშალონ შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის ვოლფრამის მიღებას, რომლის იმპორტმაც უნდა დაფაროს ამერიკის მიერ ჩინეთისათვის მიცემული სესხი. იაპონია შეეცდება მიიღოს მონოპოლია ჰოლანდიის ინდოეთის ექსპორტზე, რათა ხელი შეუშალოს შეერთებულ შტატებს ჰოლანდიის ინდოეთიდან კაუჩუკის, კოპრის, კალისა და ქინაქინის შემოზიდვაში. თუ ჰოლანდიის ინდოეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი უთხრეს იაპონიას მონოპოლიის მიცემაზე, იაპონიამ შეიძლება ძალას მიმართოს.

„ამერიკული ლეგიონის“ ყრილობის გადაწყვეტილებანი

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბოსტონიდან იუწყება, „ამერიკული ლეგიონის“ (მსოფლიო ომის ყოფილ მონაწილეთა ორგანიზაცია) ყრილობამ, რომელიც იქ შესდგა, ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვს ინგლისისათვის ყოველნაირი დახმარების გაწევას. გარდა ამისა, ყრილობა მოითხოვს, რათა ამერიკის შეერთებული შტატები ყოველმხრივ მოემზადონ ომისათვის.

მოკლე ცნობები

⊙ ნორვეგიის გაზეთი „ვესტეროლენს ავისი“ იუწყება, რომ ნადირთსახოცი გემი „სელი“ ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. „სელი“ ნორვეგიის ნადირთსახოცი ფლოტის ყველაზე დიდ და ყველაზე თანამედროვე გემების რიცხვს ეკუთვნოდა. იგი ოლესუნდიდან მიდიოდა ხე-ტყით დატვირთული. ეკიპაჟი გადარჩენილია.

⊙ ვაჭრობის სამინისტროს ცნობით,—სწერს გაზეთი „ჟორნელ ოფ კომერსი“,—ამერიკის შეერთებულ შტატებში ოქროს წმინდა იმპორტი ივლისში 519.974 ათას დოლარამდე დაეცა, მაშინ როდესაც ივნისში 1.162.975 ათას დოლარს უდრიდა.

ოქროს წმინდა იმპორტი 1940 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში 3.265.573 ათას დოლარს შეადგენს, 1939 წლის ამავე პერიოდში კი იგი 2.299.278 ათას დოლარს შეადგენდა.

27 სექტემბერი (საქდესი).

შეთანხმება გერმანიასა და ფინეთს შორის

ბერლინი, 27 სექტემბერი (საქდესი). საგარეო საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენციას გერმანიის მხრივ შემდეგი ეცნობა: ფინეთის მთავრობამ გამოაქვეყნა კომუნიკე იმის შესახებ, რომ ფინეთისა და გერმანიის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ნორვეგიაში გერმანიის ჯარის ფინეთის ტერიტორიით გადაყვანის შესახებ. გერმანია ამ კომუნიკეს არავითარ კომენტარს არ უკეთებს.

„იუნაიტედ პრესის“ ბიულეტენში, რომელიც ბერლინში გამოდის, ჰელსინკიდან მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ „ამჟამად ფინეთის ნავსადგურ ვააზაში ბევრი გერმანელი ოფიცერი იმყოფება. ფინეთის მთავრობის კომუნიკე მოულოდნელი იყო ფინური მოსახლეობისათვის“.

გერმანიის ტრანსპორტის გადაყვანა ჩრდილოეთ ფინეთსა და ჩრდილოეთ ნორვეგიას შორის

ბერლინი, 26 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ფინეთის დეპეშათა სააგენტოს ოფიციალურ ცნობას იმოწმებს და გადმოგვცემს, რომ ამ დღეებში ჩრდილოეთ ფინეთსა და ჩრდილოეთ ნორვეგიაში გადაყვანილ იქნება გერმანიის შვებულები ჯარისკაცებისა და გერმანიის სამხედრო მასალის ტრანსპორტი. ტრანზიტი განხორციელებული იქნება სპეციალური კონტროლქვეშ.

ინგლისმა პროტესტი განუცხადა ფინეთს

ლონდონი, 27 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, ლონდონში გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობის თანახმად, ინგლისის მთავრობამ დაავალა თავის ჰელსინკელ დესპანს მკაცრი პროტესტი განუცხადოს ფინეთის მთავრობას იმის გამო, რომ იგი დასთანხმდა გერმანიას ფინეთის ტერიტორიაზე გაატაროს ჩრდილოეთ ნორვეგიაში მიმავალი თავისი ჯარი. აცხადებენ, რომ ფინეთის მთავრობის ეს მოქმედება ნეიტრალიტეტის პოლიტიკისა და აგრეთვე საერთაშორისო უფლების უხეში დარღვევაა.

ამერიკის პრესა ინგლის-ამერიკის თანამშრომლობის შესახებ

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საქდესი). გაზეთ „პოსტ მერიდიენის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ჯერ კიდევ რკინის ჯართზე ემბარგოს გამოცხადებამდე წინასწარმეტყველებდა ინგლის-ამერიკის საერთო სერიოზულ ღონისძიებათა გატარებას იაპონიის წინააღმდეგ. „ინფორმირებულ წრეებში აღნიშნავენ,—სწერს კორესპონდენტი,—რომ ინგლისი ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღებს ამერიკის „მფრინავი ციხის“ ტიპის უდიდეს ყუმბარმშენებს, აგრეთვე სხვა თვითმფრინავებსა და წყალქვეშა ნავებს. გარდა ამისა, ინგლისი ამერიკის შეერთებულ შტატებისაგან მიიღებს წყნარ ოკეანესა და ინდონეზიაში დახმარების გარანტიას. თავის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები მიიღებენ ინგლისის ბაზებს შორეულ აღმოსავლეთში და ანტიპოდებზე (კუნძულთა ჯგუფი ახალი ზელანდიის სამხრეთ-დასავლეთით), აგრეთვე სინგაპურის ბაზის გამოყენების უფლებას. გზა, რომელიც ბირმაზე გადის, გახსნილი იქნება. ინგლისი თანხმობას მისცემს იაპონიასთან ვაჭრობის ბოიკოტის განხორციელებაზე, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიურ სანქციებს გამოიყენებენ იაპონიის მიმართ. შესაძლებელია ინგლის-ამერიკის შეთანხმებას ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება მოჰყვეს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გამოცხადდება თვით შეთანხმების დადება, სახელდობრ—ეფექტური ემბარგოს დაწესება იაპონიაში საქონლის შეტანაზე და ამერიკის რამდენიმე სამხედრო გემის გაგზავნა სინგაპურში.

გაზეთ „კრისჩენსაიენს მონიტორის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ მალე დამთავრდება ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება წყნარი ოკეანის ბაზების შესახებ. ფიქრობენ, რომ ვაშინგტონს სურს ნოემბრის არჩევნების დამთავრებამდე საიდუმლოდ შეინახოს შეთანხმება ამ საკითხზე, მაგრამ თანამედროვე ამბების სწრაფად განვითარებამ შესაძლოა აიძულოს ამერიკის შეერთებული შტატები უფრო ადრე გამოაცხადონ ამ შეთანხმების დადების შესახებ.

თვითმფრინავთა წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საქდესი). ამერიკული ჟურნალი „ავიეიშენი“ იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საავიაციო საწარმოთა მფლობელებს ამჟამად შეუსრულებელი აქვთ 2 მილიარდზე მეტი დოლარის დაკვეთა, მაშინ როდესაც გასული წლის სექტემბერში შეუსრულებელი იყო 300 მილიონი დოლარის დაკვეთა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ 21 მეწარმეს დაავალა მოემზადონ 1.250 მილიონი დოლარის დაკვეთის შესრულებისათვის. მარტო ორი ამერიკული ფირმის—„კერტის რაიტ კორპორეიშენისა“ და „იუნაიტედ ეირკრაფტ კორპორეიშენის“ მიერ მიღებული, მაგრამ ჯერ კიდევ შეუსრულებელი დაკვეთა აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების მთელს შარშანდელ საავიაციო პროდუქციას, რომელიც 226 მილიონ დოლარს უდრის. 1942 წლის აპრილამდე უნდა დამზადდეს 33 ათასი თვითმფრინავი, აქედან 14 ათასი ინგლისისათვის დამზადდება.

ანტიამერიკული განწყობილების ზრდა იაპონიაში

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის შანხაელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ტოკიოდან ჩამოსული პირები იუწყებიან, რომ იაპონიაში ანტიამერიკული განწყობილება იზრდება. ტოკიოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მახლობლად გაკრულია პლაკატები წარწერით: „იაპონია არ შეიწყნარებს აზიის საქმეებში ინგლისისა და ამერიკის ჩარევას“. როგორც იტყობინებიან, არმიის გადამდგარი ოფიცრების ორგანიზაცია „მეირინკაიმ“ თხოვნით მიმართა მთავრობას დაუყოვნებლივ მოითხოვოს შეერთებული შტატებისაგან განმარტება, თუ როგორია მათი პოზიცია სინგაპურის მიმართ. „მეირინკაი“ დაჟინებით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან არადამაკმაყოფილებელი პასუხის მიღების შემთხვევაში იაპონიამ სინგაპური და ჰონკონგი დაიკავოს.

ქუთაისი. **სურათზე:** სასტუმრო „ქუთაისის“ ახალი შენობა, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1940 წ. 19 სექტემბერს. (საქდესის ფოტო ქრონიკა)

ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია

25 ოქტომბერს გაიხსნება თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნება სახელგანთქმული ქართველი პედაგოგისა და მწერლის იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავს.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი ამხ. გ. კიკნაძე. სესიაზე მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებები: „ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება“ — მომხს. პროფ. გ. თავზიშვილი, „ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება“—მომხს. პროფ. მ. ზანდუკელი, „ი. გოგებაშვილი და კ. უშინსკი“ — მომხს. დოც. დ. ყიფშიძე, „ი. გოგებაშვილი და ქართული ენის გრამატიკა“ — მომხს. პროფ. გ. ახვლედიანი, „ი. გოგებაშვილის დიდაქტიკა“—მომხს. დოც. დ. ლორთქიფანიძე, „ი. გოგებაშვილი და „ქართული ანბანი“ — მომხს. პროფ. ვ. თოფურია, „ი. გოგებაშვილი და ყ. აღაიანი“ — მომხს. პროფ. ლ. მელიქსეთბეგი, „ი. გოგებაშვილი და ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში“ — მომხს. ამხ. ვ. იმედაძე, „ი. გოგებაშვილი ბუნებისმეტყველების სწავლების შესახებ“ — მომხს. დოც. პ. მეტრეველი, „ი. გოგებაშვილის პრინციპები ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების კურსის აგებისათვის“—მომხს. დოც. ს. ვაჩნაძე, „ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“, როგორც არასრულ სკოლებში სახმარებელი რუსული ენის სახელმძღვანელოს საუკეთესო ნიმუში“ — მომხს. დოც. დ. მგელაძე.

○

ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება გამოფენა „ი. გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება: მასალები, რომლებიც ახასიათებენ ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობას, მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები და ი. გოგებაშვილის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიცა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

გამოფენაზე ფართო ადგილი დაეთმობა იმ მასალებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ იყო დაყენებული საქართველოს სკოლებში მშობლიური ენის სწავლება ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გამოცემამდე და გამოცემის შემდეგ. (საქდესი).

„ქაჯანა“

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

გუშინ, 28 სექტემბერს, მოზარდ მაყურებელთა ქართულმა სახელმწიფო თეატრმა თავის მრავალრიცხოვან ახალგაზრდა მაყურებლებს უჩვენა ახალი პრემიერა—კ. გოგოძის მიერ ნიკო ლომოურის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით დაწერილი 3-მოქმედებიანი პიესა „ქაჯანა“.

პიესა დადგა გ. დარისპანაშვილმა, მხატვრობა ეკუთვნის დ. თავაძეს, მუსიკა—ვ. შავერზაშვილს. სპექტაკლმა წარმატება ჰპოვა მაყურებლებში.

სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს (ქაჯანა — თ. თვალიაშვილი, ბაბალე— ნ. სირბილაძე, ნინიკა—ა. კაჭკაჭიშვილი, კიკოლა — ა. ყიასაშვილი, ვანო—ს. გამრეკელი და სხვ.), პიესის დამდგმელს და ავტორს მაყურებლებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს.

მიწისძვრა

26 სექტემბერს 6 საათსა, 18 წუთსა და 41 წამზე თბილისის დროით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის თბილისის სეისმური სადგურის სეისმოგრაფებმა ჩასწერეს მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი თბილისიდან 170 კილომეტრით არის დაშორებული. ეპიცენტრში მიწისძვრის ძალა 4-5 ბალს უდრიდა.

27 სექტემბერს 20 საათსა 41 წუთსა და 29 წამზე ჩაწერილია სუსტი მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი ამავე მანძილზეა თბილისიდან. (საქდესი).

ლექციები

2 ოქტომბერს ფილარმონიის დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 21) შესდგება პროფ. **მოსე გოგიბერიძის** ლექცია ქართულ ენაზე, თემა: **„ფრ. ენგელსის წიგნი „ანტიდიურინგი“.**

ბილეთის ფასი 1 მან.

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში დღის 12 საათიდან 6 საათამდე, საღ. 7 საათიდან 9 საათამდე. აგრეთვე ყველა რაიპარტკაბინეტში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

○

30 სექტემბერს, ფილარმონიის დარბაზში განსახკომის ლექტორიუმი ატარებს ლექციას: „საერთაშორისო მდგომარეობა“. ლექტორი ამხ. სულეიმანი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

მწერალთა სასახლეში

30 სექტემბერს საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში ამხ. **შალვა დადიანი** წაიკითხავს თავის ახალ კომედიას „მოლა მასრადინა“.

დასწრება თავისუფალია.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „დურსუნ“ დღისით — „უკანასკნელი მასკარადი“, **ოქტომბერი** — „დიდი ვალსი“, **დამკვრელი** (ზამთრისა და ზაფხულის) — „დურსუნ“, დღისით — „მეოთხე პერისკოპი“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“, **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „ვაჟკაცობა“, **ლუქსემბურგის სახ.** — „საყვარელი ქალიშვილი“, დღისით — „მეოთხე პერისკოპი“, **სპარტაკი** — „დაღუპული გემის საუნჯე“, **კომინტერნი** — „უკანასკნელი მასკარადი“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „ტორეიკელი ფერძი“, **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „ნარინჯის ველი“, **განთიადი** — „ჯულბარსი“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „აზამატ“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ნამუსი“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „საუცხოო ბაღი“, **წითელი არმიის სახლი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **წითელი არმიის სახლის პარკი** — „ასაი“, **სტალინის სახელობის პარკი** — „უკანასკნელი მასკარადი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი პლეხანოვის 123 ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
29 სექტემბერს დილის წარმოდგენა დაკლებულ ფასებში
ქორწილი მალინოვკაში დასაწყისი დღის 12 საათზე.
29 სექტემბერს 1 აბ. 15 წარმ. სილვა
სალარო ღიაა 12 ს-დან 3 ს-დე 6 ს-დან 11 საათამდე.
ღია ესტრადა 29 სექტემბერს ესტრადის მსახიობთა საღამო-კონცერტი

საზაფხულო სეზონის დახურვა
30 სექტემბერს მე-2 და მე-3 აბ. მე-15 წარ.
სტალინგრადის მუსკომედიის თეატრის უკანასკნელი გასტროლი
სამი პიესა ერთ საღამოს 1) კოლომბინა (1 აქტი)
2) ბოშათა ბარონი (მე-2 აქტი)
3) ცეცხლის ქურუმი ქალი (მე-2 აქტი)

ღია ესტრადა დიდი კონცერტი 2 დიდ განყოფ.
მონაწილეობენ: ე. ხოხაძე, თ. ჭავჭავაძე, ო. დოლიძე, ფ. ჭანტურია, ვ. გოძიაშვილი, სალარაძე-ჯაფარიძე. პროგრამის წამყვანი— ვ. ურუშაძე, როიალთან—ვ. შავერზაშვილი.
სტალინგრადის მუსკომედიის თეატრის არტისტები ესტრადაზე
მონაწილეობენ: მაისკი, ბლანი, ლაზარევი, იუგანსონი, ზავალოვი და სხვ.
ბალეტის სოლისტები: გერასიმჩუკი, მაგიცკაია. სოკოლოვა, ტულუპოვა, ბერგერი, ბერდნიკი, მოზგინი, მათვიევსკი და ბალეტის მთელი ანსამბლი. პროგრამის წამყვანი: ა. ვ. ილინსკი, როიალთან—დ. ლ. პალეი და ვ. ლ. კარპონოსოვი.

ბაღში დიდი სეირნობა
ცეცხლის კარნავალი, კონფეტი, სერპანტინი
უკრავს სასულე ორკესტრი
ბახმანის ხელმძღ. ოპერეტის დასაწყისი 9 საათზე. კონცერტის— 9 საათ. 30 წუთ. ღია ესტრადაზე
შესვლა ბაღის ბილეთებით.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
29 სექტემბერს
გიორგი სააკაძე
1 ოქტომბერს
გიორგი სააკაძე
2 ოქტომბერს
ბრაუნის ქერივი
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12 ს-დან საღ. 9 საათამდე.
აბონემენტების გაცემა გრძელდება.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.
29 სექტემბერს
აბონემენტის გარეშე
ბედნიერება
1 ოქტომბერს
სერია მე-4 აბ. მე-2 წარ.
გიორგი სააკაძე
2 ოქტომბერს
სერია მე-3 აბ. მე-2 წარმ.
მადამ სან-ჟენ
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
29 სექტემბერს დღის წარმოდგენა
ანრი ხეარ
დასაწყისი დღის 12 ს.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
29 სექტემბერს აბონემენტის გარეშე ევგენი ონეგინი
1 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე ბალჩისარაის შადრევანი
2 ოქტომბერს აბონემენტის გარეშე დეკუპაჟი
საბილეთო სალარო ღიაა დილის 11-დან 3 საათამდე და 5-დან საღ. 9 საათამდე.
სააბონემენტო სალარო ღიაა დილის 11-დან 5 საათამდე და საღ. 7-დან 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1940 წლის 5 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, სოც ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12), მახაჩკალის მედინსტიტუტის ასისტენტი ანდრია გრიგოლის-ძე ფაუსტოვი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„К лечению нагноительных процессов легких“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მედ. მეცნ. დოქტ. პროფ. ნიკოლოზ ყიფშიძე და მედ. მეცნ. კანდ. დოც. ი. პარმა.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

150 დირექცია.

საქართველოს სამხატვრო მრეწველობის ტრესტი
ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ. 23
აცხადებს კონკურსს მხატვრულ პლაკატზე ზომით 62×94 სმ
8—10 ფერით (ლიტოგრაფიისათვის).
თ ე მ ა: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წელი (მიღწევები საბჭოთა საქართველოს 20 წლის მანძილზე).
ჩაბარების ვადები: 1 თვე. დამთავრებული სამუშაოები უნდა ჩაბარდეს სამხატვრო ტრესტის გამომცემლობას, რუსთაველის პროსპ. 23, მე-3 სართ. ტელ. 3-61-66 არა უგვიანეს 1940 წლის 29 ოქტომბრისა.
ჟ უ რ ი: საქ. ხელოვნების სამმართველოს, სამხატვრო ტრესტის, მთავლიტის, საქ. მხატვართა კავშირის გამგეობის, თბილისის სამხატვრო აკადემიის და სამხატვრო საბჭოს წარმომადგენლები.
ღირებულება ორიგინალისა, რომელიც იქნება მიღებული ჟიურის მიერ:

1	კატეგორია	5000 მან.
2	„	3500 „
3	„	2500 „

დამატებითი ჰონორარი ტირაჟიდან არ გაიცემა. ყოველგვარ ცნობებზე მიმართეთ საქ. სამხატვრო მრეწველობის ტრესტს, რუსთაველის პროსპ. 23, გამომცემლობა, ტელეფონი № 3-61-66. 1190

ექიმი
ა. დ. ქლენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა.
მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე.
მისამართი: ვაშლოვანის ქ. № 5 (ზემელთან). 4—2 7821

ფოთის ქ. № 9 სახლის მცხოვრებნი იუწყებიან მეორე კურსის სტუდენტის
სოსიკო კონსტანტინეს-ძე შენგელიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 29/IX 5 ს. კუკიის სასაფლაოზე.

მშობლები მარო, ნესტორ ბოკუჩავები, ბებიები ქრისტინე, ეფროსინე, ბაბუა გუდულა, ძმა გოგი, დები ციცინო, ეთერ იუწყებიან
პატარა ოთარის
გარდაცვალებას. გამოსვენება 1/X 6 ს. ქ. ცხაკაიაში, ნინოშვილის 31. 8116

ვასიკო კიკნაძე ცოლშვილით და სიძეებით იუწყება დედის
ნატა მერაბის-ასულ კიკნაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/X ს. ჩხერში. 818

ექიმები გველესიანი, კიკალეიშვილი, გოგიჩაიშვილი, ლაბაძე, ცინცაძე, კახიანი, წილოსანი, გუძუაძე, ქერქაძე, გუგუნავა, კუკულაძე, მშვიდობაძე, ცინცაძე, წილოსანი იუწყებიან გუგული და სერგო ბუაძეების შვილის
ნათელას
გარდაცვალებას. 397

იონა, ნუნუ შვილებით ირაკლი, ვაჟიკოთი, ქეთევან, ეკატერინე გელეიშვილები, პარმენ სარდალაშვილი, სტეფანე მარსაგიშვილი იუწყებიან დეიდაშვილის II კურსის სტუდენტის
სოსო კონსტანტინეს-ძე შენგელიას
გარდაცვალებას. 8112

მშობლები ჟენია, ვალოდია, ბებიები მელანია, ანიჩკა, ბაბუა გიორგი, ბიცოლა ლუბა, მამიდა ანეტა ბოხუები იუწყებიან პატარა
ლაურის
გარდაცვალებას. 8111

გაბუნია, ტულუში, ზალდასტანიშვილი. ჩიტაიშვილი, ლეკვეიშვილი, ანანიაშვილი, ქადაგიძე, სანაძე-ოდიშვილი, მანჯგალაძე, მეავანაძე, გაბაშვილი, შავგულიძე იუწყებიან სანდრო ახობაძის მამის
ვასილის
გარდაცვალებას. 8113

მშობლები მალაქია, ანა, მეუღლე თამარ შვილებით, ძმები ნიკო, კოსტა, ვალოდია, თეოფილე ცოლშვილით, დები ვერიჩკა, მარო ქმარშვილით იუწყებიან, რომ 29/IX ს. ბარში დანიშნულია
ვანო ჩლაიძის
პანაშვიდი. 8114

გურგენიძე, ჰელიძე, კალანდაძე, ნიორაძე, ჩიგოგიძე, თ. გადელია, კეზელი, ჰინჭარაული, ნიკურაძე, ანდღულაძე, ლურსმანაშვილი, ლ. აბულაძე, ა. აბულაძე, ხუროძე, ლ. ჯიქია იუწყებიან ვენერა ხუბულავას დედის
ლუბას
გარდაცვალებას. 8115

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კომკავშირის ორგანიზაცია იუწყება ამავე ორგანიზაციის წევრის
გიორგი აბუაშვილის
გარდაცვალებას. 8120

მშობლები გლახუნ, კესა, ძმა გრიშა ცოლით ვერათი, დები მაყო, ტერეზი, თებრონე, ლიუბა, პელაგია, მარო იუწყებიან
თამარ თავართქილაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ასკანაში (გურია) 29/IX. 8108

სიძეები კ. ჭელიძე, ლ. ლომთათიძე, გ. ჯაში, მ. კალანდაძე, დისწულები მარტიანე, ნუცა, ნაზიბროლა, გურამ, მორისი, ეთერ, თინა, ნოდარ. გაროლდი, დიასი იუწყებიან
თამარ თავართქილაძის
გარდაცვალებას. 8108

ხარიტონაშვილი, ცაგარელი, ბურკაძე, მუსერიძე, სიმონიშვილი, პეტროსოვა, კევლიშვილი, კანდელაკი, ჩანტლაძე, ქიპაშვილი, უთურგაიძე, ჯაფარიძე, ცერცვაძე იუწყებიან ვახტანგ სიდამონიძის მამის
ალექსანდრეს
გარდაცვალებას. 8109

მეგობრები პ. გადელია, მიქელოვი, შარაშენიძე, ქვლივიძე, გზირიშვილი, კაიშაური, ანდღულაძე, წვერავა ტალაბაძე, ჯიქიძე, პაპუაშვილი, ბერიშვილი იუწყებიან ვენერა ხუბულავას დედის
ლუბას
გარდაცვალებას. 8110

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83. ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84. წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 124